დასჯის ალტერნატივები ნარკოტიკული დანაშაულისთვის

„ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“-ს მიერ დაფინანსებული პროექტი

(Med/21/21-21291) - „ალტერნატიული სასჯელი ნარკოტიკული დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირებისთვის"

განმახორციელებელი: ა(ა)იპ ალტერნატივა ჯორჯია ადიქციის კვლევითი ცენტრი

ავტორი: ანი ნასრაშვილი

თბილისი 2022

ალტერნატივა ჯორჯია

საზოგადოებრივ ფონდი

სარჩევი

I. შესავალი 3

მეთოდოლოგია 3

II. სასჯელები სისხლის სამართლის კანონმდებლობაში 4

1. სასჯელთა სახეები და სასჯელის შეფარდების ზოგადი წესები 4
2. ნარკოტიკული დანაშაულებისთვის დაწესებულ სასჯელთა მიმოხილვა 6

III. საკონსტიტუციო სასამართლოს მოთხოვნები ნარკოდანაშაულის დასჯადობასთან მიმართებით 7

1. საკუთარი თავისთვის ზიანის მიყენება 9
2. მსუბუქი და მძიმე ნარკოტიკების გამიჯვნა 11

IV. 2019-2021 წლებში ნარკოტიკულ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის და დასჯის პრაქტიკა 12

1. სისხლისსამართლებრივი დევნა და განრიდების მექანიზმი 12
2. ნარკოდანაშაულებზე გამოყენებულ სასჯელთა პრაქტიკა 13
3. პირობითი მსჯავრი 16

V. ალტერნატიული სასჯელებთან დაკავშირებული საერთაშორისო მიდგომები 18

1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 18
2. ალტერნატიული სასჯელები ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებულ კონვენციებში 19
3. ალტერნატიული სასჯელების ფორმები 21
4. "თერაპია დასჯის ნაცვლად" გერმანიის კანონმდებლობაში 24

VI. დასკვნა და რეკომენდაციები 25

I. შესავალი

ნარკოტიკული საშუალების მოხმარებასა და სისხლისსამართლებრივად რელევანტური ქმედების ჩადენას შორის მჭიდრო კავშირია. ნარკოტიკის პრობლემური მომხმარებლები შეიძლება ცდილობდნენ არასამედიცინო დანიშნულებით სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა შეძენას, კულტივირებას თუ სხვა გზებით მოპოვებას, რაც, სახელმწიფოთა უმრავლესობაში, ნარკოტიკებზე საერთაშორისო კონტროლის მიზნით მიღებული კონვენციების შესაბამისად, სისხლის სამართლის დანაშაულია.

ამის მიუხედავად, ნარკოტიკის მოხმარების და მასთან დაკავშირებული სხვა ქმედებების მხოლოდ სისხლისსამართლებრივ ჭრილში დანახვა გაუმართლებელია, ვინაიდან საკითხი ამავდროულად ჯანდაცვის სფეროს და ჯანრთელობის უფლების განუყოფელი ნაწილია.[1] თუ რა მეთოდებით პასუხობს ქართული სისხლის სამართლის მართლმსაჯულება და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სასჯელთა სისტემა ნარკოდანაშაულებისთვის მსჯავრდებულთა სპეციფიკურ საჭიროებებს, კვლევის ფარგლებში განსახილველი მთავარი საკითხია.

ნარკოტიკის პრობლემურ მოხმარებასა და მასთან კავშირში მყოფ სხვა ნარკოტიკულ დანაშაულებზე სახელმწიფოს რეაგირების ფორმებზე მსჯელობისას, საერთაშორისო სტანდარტები, არაერთი ქვეყნის საუკეთესო გამოცდილება უპირატესობას ანიჭებს ნარკოტიკული დანაშაულისთვის პასუხისგებაში მიცემის კლასიკური სისხლისსამართლებრივი სასჯელების ალტერნატიულ ღონისძიებებს. ამ მიდგომის მიზანია ადამიანების წახალისება, დასჯის ნაცვლად აირჩიონ სახელმწიფოში მოქმედ მკურნალობის, განათლების, თუ სხვა ტიპის სერვისებში ჩართვა, რაც მიმართულია ნარკოდანაშაულის ჩამდენი პირების სამედიცინო საჭიროებების უზრუნველყოფის, რეაბილიტაციის და საზოგადოებაში ეფექტიანი რეინტეგრაციის ხელშეწყობისკენ.

ამ კუთხით, წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს საქართველოში არსებული ვითარების შესწავლას. ანალიზი ეფუძნება ნარკოტიკულ დანაშაულებზე კანონმდებლობით დაწესებულ სასჯელთა ფორმების შეფასებას, სასამართლოების მიერ სასჯელშეფარდების პრაქტიკაზე დაკვირვებას, ისევე როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებით განვითარებული მიდგომების განხილვას. დამატებითი განხილვის საგანია ნარკოტიკული დანაშაულისთვის დასჯის ალტერნატივებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტები, რელევანტური კონვენციებით გათვალისწინებული დებულებები. კვლევის ბოლოს, შემოთავაზებული იქნება დასჯის ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენების კუთხით ქართული კანონმდებლობისთვის რელევანტური რეკომენდაციები.

მეთოდოლოგია

კვლევა მომზადდა ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემადგენლობების და სანქციების ანალიზზე დაფუძნებით. შეფასდა ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მოქმედი „გვერდითი" კანონმდებლობით დაწესებული დამატებით სასჯელთა სახეობები, მოსამართლეთა და პროკურორთათვის მინიჭებული უფლებამოსილებათა ფარგლები, ნარკოდანაშაულზე რეაგირების ინსტრუმენტების, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის, განრიდების, არასაპატიმრო სასჯელთა

[1] United Nations Office on Drugs and Crime/World Health Organization, Treatment and care for people with drug use disorders in contact with the criminal justice system. Alternatives to Conviction or Punishment, 2018, გვ.8.

დაკისრების კუთხით. კვლევა ასევე დაეფუძნა ქვეყანაში არსებულ სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზს 2019-2021 წლებში ნარკოტიკულ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის, გამოტანილი განაჩენების, შეფარდებულ სასჯელთა ტიპების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ საჯარო უწყებებში სტატისტიკური მონაცემების არასრულყოფილად დამუშავების პირობებში, დოკუმენტში გაანალიზებულია მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით არსებული მონაცემები და არა ამ მუხლების თითოეული ნაწილისა თუ პუნქტის სტატისტიკური მონაცემები.

საერთაშორისო სტანდარტებთან ერთად, გაანალიზდა გერმანიის სისხლის სამართლის კანონმდებლობით ნარკოტიკულ დანაშაულებზე დასჯის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების დებულებები, ვინაიდან ქართული სისხლის სამართლის მატერიალურ კანონზე, განსაკუთრებით სისხლის სამართლის კოდექსის სასჯელების მომწესრიგებელ ზოგად ნაწილზე გერმანულ კანონმდებლობას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს.

II. სასჯელები სისხლის სამართლის კანონმდებლობაში

1. სასჯელთა სახეები და სასჯელის შეფარდების ზოგადი წესები

სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილი შეიცავს სასჯელის მიზნებს, სახეებს, მათი შეფარდების წესებს და პირობებს. კანონი სასჯელის მიზნად სამართლიანობის აღდგენას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას და დამნაშავის რესოციალიზაციას ასახელებს.[2] კანონით განსაზღვრულ სასჯელთა სახეებს მიეკუთვნება ჯარიმა, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, გამასწორებელი სამუშაო, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა, შინაპატიმრობა, ვადიანი და უვადო თავისუფლების აღკვეთა, ქონების ჩამორთმევა და იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა.[3] მათგან გამასწორებელი სამუშაო, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა, ვადიანი და უვადო თავისუფლების აღკვეთა პირს შეიძლება მხოლოდ ძირითადი სასჯელის სახით შეეფარდოს, სასჯელთა სხვა სახეები[4] კი, ინიშნება როგორც ძირითადი, ისე დამატებითი სასჯელის სახით. კანონმდებლობით დაშვებულია ერთდროულად რამდენიმე დამატებითი სასჯელის დანიშნვაც.[5]

ალტერნატიულ სასჯელზე საუბრისას იგულისხმება ორი განსხვავებული სასჯელისაგან, ერთ-ერთი მათგანის არჩევა, რაც ზუსტად, სამართლიანად და ჩადენილი ქმედების პროპორციულად უნდა მოხდეს. ალტერნატიული სასჯელები არ არის მხოლოდ მოსამართლეებისათვის სასჯელის დანიშვნის დისკრეციის გამოყენების შესაძლებლობის შეთავაზება. იგი აერთიანებს პროგრამებს, სტრატეგიებს და ტაქტიკათა ნაირსახეობებს, რომლებიც გამოიყენება მსჯავრდებულთა დასახმარებლად.[6]

სასამართლო სასჯელის შეფარდების გადაწყვეტილებას იღებს კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და მოსალოდნელ სასჯელთაგან უფრო

---

[2] სსკ-ის 39-ე მუხლის პირველი ნაწილი.

[3] სსკ-ის მე-40 მუხლი.

[4] სსკ-ის 41-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ქონების ჩამორთმევა და იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ დამატებით სასჯელად.

[5] სსკ-ის 41-ე მუხლი.

[6] *თოდუა, ნონა,* სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, 2016, გვ. 320.

მკაცრი სახის შერჩევა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ნაკლებად მკაცრი სასჯელი სასჯელის მიზნის მიღწევისთვის გამოუსადეგარია.[7] ქმედების შემადგენლობისთვის დასაწესებელზე უფრო მკაცრი სასჯელის გამოყენება მხოლოდ დანაშაულთა ან განაჩენთა ერთობლიობის შემთხვევაშია დაშვებული.[8]

სასჯელის შეფარდების საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლო ასევე ვალდებულია, მხედველობაში მიიღოს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, დანაშაული მოტივი, მიზანი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, დამნაშავის წარსული ცხოვრება, პირადი და ეკონომიკურ პირობები, ყოფაქცევა ქმედების შემდეგ და სხვა.[9] დამატებითი უფლებამოსილებით აღიჭურვება მოსამართლე საპროცესო შეთანხმების არსებობისას, დანიშნოს დანაშაულებრივი ქმედებისთვის დაწესებული სასჯელის ზომის უდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი, ან პირს შეუფარდოს სხვა, უფრო მსუბუქი სანქცია.[10] სასამართლოს მიერ საპროცესო შეთანხმების დამტკიცებამდე კი, მხარეებს შორის მოსალოდნელი სასჯელის პირობებზე შეთანხმებისას წამყვანი როლი პროკურორს აქვს, რომელსაც ბრალდებული დანაშაულის აღიარების სანაცვლოდ უთანხმდება სასჯელზე, ბრალდების შემსუბუქებაზე ან ნაწილობრივ მოხსნაზე.[11]

სასჯელის სახეებს არ მიეკუთვნება, თუმცა პრაქტიკაში განსაკუთრებული ადგილი უკავია კანონმდებლობით გათვალისწინებულ პირობითი მსჯავრის ინსტიტუტს. იგი ლიტერატურაში სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიებად განიხილება, რომელიც მსჯავრდებულს აძლევს შესაძლებლობას, გამოსაცდელ ვადაში დაამტკიცოს, რომ მასთან მიმართებით არაა საჭირო დანიშნული სასჯელის რეალურად მოხდა და რომ ამისთვის საკმარისია, პირობითი მსჯავრით გამოსაცდელ ვადაში დაწესებული სხვა მოვალეობების შესრულება.[12] კანონი პირობითი მსჯავრის გამოყენებისთვის მთელ რიგ შეზღუდვებს აწესებს. პირველ რიგში, სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლის წინაპირობა საპროცესო შეთანხმების დადებაა. გარდა ამისა, დანიშნული სასჯელის პირობით ჩათვლა გამოირიცხება, თუ ჩადენილია მძიმე ან განზრახ მძიმე დანაშაული, ან თუ მსჯავრდებული წარსულში ნასამართლევი იყო ორი ან მეტი განზრახი დანაშაულის ჩადენისთვის.[13]

დანიშნული სასჯელის სრულად პირობით ჩათვლასთან ერთად, კანონმდებლობა აწესრიგებს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას სასამართლოს უფლებამოსილებას, სასჯელის ნაწილის პირობით ჩათვლასა და ნაწილის პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდასთან დაკავშირებით. ამის წინაპირობაა დანაშაულის აღიარება (თუ პირს არ წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე) და გამოძიებასთან თანამშრომლობა. ამ შემთხვევაში, დანიშნული სასჯელის ნაწილის პირობითი მსჯავრით შეცვლა არ არის პირდაპირ მიბმული საპროცესო შეთანხმების გაფორმებასთან. სასჯელის

---

[7] სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილი.
[8] სსკ-ის 53-ე მუხლის მე-2 ნაწილი.
[9] სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილი.
[10] სსკ-ის 55-ე მუხლი.
[11] სსსკ-ის 209-ე მუხლის პირველი ნაწილი, სსსკ-ის 209-ე-215-ე მუხლები.
[12] *თოდუა, ნონა,* სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, 2016, გვ. 380.
[13] სსკ-ის 63-ე მუხლი. *თოდუა, ნონა,* სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, 2016, გვ. 381-382.

იმ მაქსიმალურ ზომას, რომელიც შესაძლოა პირობით ჩაითვალოს, განსაზღვრავს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე.[14]

დანაშაულზე რეაგირების სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ აღნიშნულ ბერკეტთა გარდა, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა დასჯის ალტერნატიულ მექანიზმად აყალიბებს განრიდების შესაძლებლობას. იგი პროკურორს ანიჭებს დისკრეციას, არ დაიწყოს ან შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა პირის მიმართ, თუკი ჩადენილია ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული და პირი მზადაა, შეასრულოს გარკვეული პირობები, მათ შორის, მიყენებული ზიანის ანაზღაურების, სახელმწიფო ბიუჯეტში თანხის გადარიცხვის, საზოგადოებისთვის სასარგებლო უსასყიდლო სამუშაოს შესრულებით.[15]

2. ნარკოტიკული დანაშაულებისთვის დაწესებულ სასჯელთა მიმოხილვა

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ჩამონათვალი და მათ უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკის სამართლებრივი საფუძვლები განსაზღვრულია „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივ-თიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ კანონით. კანონს დანართების სახით ერთვის ბრუნვისთვის მკაცრად შეზღუდული და შეზღუდული ნარკოტიკული საშუალებების ჩამონათვალის ამსახველი I და II სიები; ასევე, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების დასახელებები, III და IV სიების სახით. ამავე კანონით განსაზღვრულია სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად მიჩნევისთვის მინიმალური, ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისთვის საწყისი, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობების ქვედა ზღვარი.[16]

მცირე ოდენობით კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების მოხმარების, შეძენისა და შენახვის პირველი ფაქტი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე და 45[1]-ე მუხლებზე დაყრდნობით პასუხისგებაში მიცემის საფუძველია.

მცენარე კანაფის და მარიხუანის გარდა, ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება, ასკ-ის 45-ე მუხლის თანახმად, 500 ლარით ჯარიმის დაკისრებას, ხოლო გამონაკლის შემთხვევაში, საქმის გარემოებების და დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით, 15 დღემდე ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდებას განაპირობებს. ამავე ქმედებისთვის, პირს ჩამოერთმევა იარაღის ტარების უფლება 3 წლამდე ვადით.[17] ასკ-ის 45[1]-ე მუხლი კი 500 ლარის ოდენობით სანქციას აწესებს მცენარე კანაფის ან მარიხუანის მცირე ოდენობით უკანონო შეძენის, შენახვის, გადაზიდვის ან/და გადაგზავნისთვის. მისი მოხმარება ნებისმიერი დანიშნულების შენობა-ნაგებობაში, გარდა კერძო მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ადგილისა ან სხვა შენობა-ნაგებობისა, 500-დან 1 000 ლარამდე

[14] სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილი. თუ ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, პირობით მსჯავრად შეიძლება ჩაითვალოს დანიშნული სასჯელის ერთი მეოთხედი, მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში – სასჯელის ერთი მესამედი, ხოლო ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში – სასჯელის ნახევარი.
[15] სსსკ-ის 168[1]-ე მუხლი.
[16] *ნასრაშვილი, ანა,* ნარკოპოლიტიკა საქართველოში - შეჩერებული რეფორმა და ახალი ტენდენციები, 2019, გვ. 19.
[17] ასკ-ის 45-ე მუხლის შენიშვნის მე-5 პუნქტი.

დაჯარიმებას იწვევს. ამავე მუხლით განსაზღვრულია უფრო მაღალი ფულადი ჯარიმები ქმედების განმეორებით, 21 წლამდე პირის თანდასწრებით ჩადენისა და სხვა გარემოებების შემთხვევაში.

ნარკოტიკული დანაშაულებსა და მოსალოდნელ სასჯელთა სახეებს აწესრიგებს სსკ-ის XXXIII თავი. ასკ-ის 45-ე და 45[1]-ე მუხლებისთვის პასუხისგებაში მიცემული პირის მიერ ქმედების განმეორებითი ჩადენა სისხლისსამართლებრივ დასჯადობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე და 273[1]-ე მუხლებით იწვევს.[18] სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საწყისი, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების აკრძალულ ქმედებებს და მოსალოდნელ სასჯელებს აწესებს სსკ-ის 260-272-ე მუხლები.

ნარკოტიკულ დანაშაულთაგან პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებული ქმედებები გათვალისწინებულია სსკ-ის 260-ე მუხლით, რაც ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებულ ქმედებებს მინიმუმ 5 წლამდე[19] და მაქსიმუმ უვადოდ თავისუფლების აღკვეთით სჯის.[20] ნარკოტიკული საშუალებათა საზღვარზე უკანონოდ გატანის თუ შემოტანისთვის მინიმალური სასჯელი 6-დან 9 წლამდე, ფსიქოტროპული ნივთიერებების[21] შემთხვევაში კი - 2-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთაა.[22] პრაქტიკაში გავრცელებულია ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა-კულტივირება, (სსკ-ის 265-ე მუხლი) რისთვისაც ნარკოტიკული საშუალების ოდენობის და სხვა დამამძიმებელი გარემოებების მიხედვით, 2-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთაა გათვალისწინებული.

„ნარკოტიკული დანაშაულის ბრძოლის წინააღმდეგ“ კანონი დამატებით სანქციებს აწესებს ნარკოტიკული დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში. ამ კანონის საფუძველზე, სასამართლო ვალდებულია, სისხლის სამართლის კანონმდებლობით განსაზღვრული სასჯელების გამოყენებასთან ერთად, მსჯავრდებულ პირს ისეთი უფლებები ჩამოართვას, როგორიცაა სატრანსპორტო საშუალების მართვა, საექიმო/ფარმაცევტული საქმიანობა, საადვოკატო თუ პედაგოგიური საქმიანობა, საჯარო დაწესებულებებში მუშაობის უფლება. ეს უფლებები, ნარკოტიკული დანაშაულის სიმძიმის მიხედვით, მომხმარებელს 3 წლის ვადით, ნარკოტიკული დანაშაულის თავით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში – 5-დან 15 წლამდე ვადით, ნარკოტიკული საშუალების გამსაღებელს კი – 20 წლით ჩამოერთმევა.[23] მოსამართლეს ხელი არ მიუწვდება არანაირ სამართლებრივ ბერკეტზე, ინდივიდუალურ შემთხვევებში უარი თქვას ამ ტიპის დამატებითი სასჯელების შეფარდებაზე.

III. საკონსტიტუციო სასამართლოს მოთხოვნები ნარკოდანაშაულის დასჯადობასთან მიმართებით

ნარკოდანაშაულის და მასთან დაკავშირებული სასჯელის პოლიტიკის ცვლილებაში გარდამტეხი წვლილი მიუძღვის საკონსტიტუციო სასამართლოს. ამ უკანასკნელმა, 2015 წლიდან მოყოლებული, ჯერ მარიხუანის, და შემდეგ უკვე სხვა ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების და ფლობის დასჯადობისას გარკვეულ კონსტიტუციურ

[18] ასკ-ის 45-ე მუხლის შენიშვნის მე-5 პუნქტი.
[19] სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილი.
[20] სსკ-ის 260-ე მუხლის მეშვიდე ნაწილი.
[21] სსკ-ის 263-ე მუხლის პირველი ნაწილი.
[22] სსკ-ის 262-ე მუხლი.
[23] ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი.

ჩარჩოში მოაქცია ნარკოდანაშაულთან მიმართებით სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრისას სახელმწიფოს ფართო მიხედულობა.

საქმეზე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ[24] სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საპატიმრო სასჯელების კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემდეგი მოთხოვნების დაკმაყოფილების ვალდებულებაზე: „სამართლებრივ სახელმწიფოში სისხლის სამართლის – ქმედების კრიმინალიზაციისა და მისი დასჯადობის ფუნქცია მხოლოდ მაშინაა წარმატებული, როდესაც ის გამოიყენება როგორც ultima ratio. საზოგადოების და ადამიანის ინტერესების დასაცავად სისხლისსამართლებრივი ნორმები უნდა გამოიყენებოდეს როგორც უკიდურესი საშუალება, როდესაც ამოწურულია სამართლებრივ სიკეთეთა დაცვის არასისხლისსამართლებრივი საშუალებები“.[25] „ვინაიდან თავისუფლების აღკვეთის საპირწონე არის შეზღუდული თავისუფლება, ის უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ მაშინ და მხოლოდ იმ ხანგრძლივობით, როდესაც და რამდენადაც ეს უკიდურესად აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. ამ თვალსაზრისით, ხელისუფლების მიმართ არის მთავარი მოთხოვნა: შედგეს ობიექტური მართლმსაჯულება“[26]

ამ კონტექსტში სასამართლოს დამატებითი მოთხოვნაა, გაირკვეს, უზრუნველყოფს თუ არა სასჯელი თავად სასჯელის მიზნების მიღწევის შესაძლებლობას. „იმისათვის, რომ კონკრეტული სასჯელის არსებობა გამართლებული იყოს სამართლებრივ სახელმწიფოში, ის თავად სასჯელის მიზნების მიღწევის ადეკვატური საშუალება უნდა იყოს.“ [27]

მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განვითარებული მსჯელობა იმ შემთხვევების ანალიზისთვისაც, როდესაც შესაძლებელია, რომ სახელმწიფომ მარიხუანის შეძენა-შენახვა სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებად გამოაცხადოს, ხოლო სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა გამოიყენოს. სასამართლო მიუთითებს, რომ საკითხი უნდა შეფასდეს ორ ალტერნატიულ მოცემულობაზე დაყრდნობით. კერძოდ, იწვევს თუ არა მარიხუანის მოხმარება სხვა დანაშაულის ჩადენას/ზრდას (1); და მარიხუანის შეძენა-შენახვა თავისთავად ხომ არ შეიცავს მისი გავრცელების და, შესაბამისად, სხვების ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების საფრთხეს (2).[28]

ზემოაღნიშნულ ორ პირობაზე საუბრისას, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ პირველ შემთხვევაში ვერ დგინდებოდა უშუალოდ მარიხუანის მოხმარებით სხვა რომელიმე დანაშაულის ჩადენის/ზრდის უტყუარად დადასტურებული ფაქტი (ე.ი. არ არსებობდა კორელაცია ამ ორ მოვლენას შორის).[29] ამავე კონტექსტში, სასამართლომ აღნიშნა, რომ „შეზღუდვას/რეგულირებას შეიძლება ექვემდებარებოდეს ქმედება, რომელიც ანტისოციალურია თავისი ხასიათით და რომელმაც, მაღალი ალბათობით,

---

[24] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება №1/4/592 საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2015; დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის სიტყვების – „ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თოთხმეტ წლამდე“(ნორმის დავის განხილვის დროისთვის მოქმედი რედაქცია) – იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) მიმართებით, რომელიც აწესებდა სასჯელს დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება – გამომშრალი მარიხუანის პირადი მოხმარების (და არა რეალიზაციის) მიზნებისთვის შეძენა-შენახვის გამო.

[25] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება №1/4/592 საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2015, II, 37.

[26] იქვე, II, 29.

[27] იქვე, II, 40.

[28] იქვე, II, 85; *გერლიანი, თორნიკე,* საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ნარკოპოლიტიკაზე - მიღებული გადაწყვეტილებების კანონმდებლობაში ასახვის პროცესის შეფასება, 2021, გვ. 6.

[29] იქვე, II, 86.

შეიძლება გამოიწვიოს რეალური საფრთხე ასეთი ქმედების განხორციელების მომენტში, პოტენციურად შეუქმნას საფრთხე სხვათა ჯანმრთელობას ან საზოგადოებრივ წესრიგს. ამასთან, ისიც ცხადია, რომ ანტისოციალურ ქმედებაზე სახელმწიფოს პასუხი უნდა მკაცრდებოდეს მხოლოდ ქმედებით გამოწვევადი საფრთხეების სიმწვავის, რეალურობის ხარისხის და მასშტაბის მიხედვით".[30]

მეორე შემთხვევის ანალიზისას, სასამართლომ, ექსპერტების მოსაზრებებზე დაყრდნობით, დადგენილად მიიჩნია ის ფაქტი, რომ 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანის შეძენა-შენახვა თავისთავად არ მიუთითებდა მისი გასაღების მიზანზე.[31] მიუხედავად იმისა, რომ 50-70 გრამი გამომშრალი მარიხუანა უფრო მეტია, ვიდრე ერთი ადამიანის მიერ ერთდროულად მოხმარებისთვის სამყოფი დოზა (რაც საშუალოდ 1 გრამს შეადგენს), ის, შესაძლოა, ერთი ადამიანის მიერ, მისი დროის ხანმოკლე მონაკვეთში მოხმარებისთვის იყოს გამიზნული. ეს, მათ შორის, გამოწვეულია იმითაც, რომ მარიხუანის მოწევისას განსაკუთრებით დაბალია მისი ზედოზირების რისკები.[32] ამდენად, ამ შემთხვევაში, სასამართლომ მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნით შეძენა-შენახვა მის რეგულარულ მომხარებელს დაუკავშირა და არა მხოლოდ დამწყებს/ექსპერიმენტატორს.

აღნიშნულ საქმეზე განვითარებულ მსჯელობას დააფუძნა სასამართლომ მოგვიანებით მიღებული გადაწყვეტილება, რომლითაც არაკონსტიტუციურად სცნო მცენარე კანაფის პირადი მოხმარების მიზნებისთვის დათესვის, მოყვანის და კულტივირებისთვის დაწესებული სანქციები.[33]

1. საკუთარი თავისთვის ზიანის მიყენება

პატერნალიზმის პარადიგმიდან ნარკოტიკული საშუალების მოხმარების დასჯადობის საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ „საკუთარი ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით პირის თავისუფლების აღკვეთა აუხსნელი და გაუმართლებელია". ასეთ შემთხვევებში პირისთვის საპატიმრო სასჯელების გამოყენება მხოლოდ ზოგადი პრევენციის მიზანს ემსახურება. ეს კი, სასამართლოს თქმით, ინდივიდს ძალაუფლების ობიექტად აქცევს, „რადგან, სასჯელი ლეგიტიმაციას არ იღებს ქმედებისგან, მას არ ამართლებს პირის ქმედებიდან მომდინარე საშიშროება. ამგვარად, ადამიანი იქცევა ინსტრუმენტად სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში, რაც გარდაუვლად იწვევს მისი ღირსების ხელყოფას."[34] გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ სამოტივაციო ნაწილში საუბარია ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებული პირისთვის ზრუნვის, და არა დასჯის, მექანიზმების გამოყენების მნიშვნელობასა და გონივრულობაზე. კერძოდ, გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ ისეთ შემთხვევაში, როდესაც პირი დამოკიდებული ხდება კონკრეტულ ნივთიერებაზე, მის მიმართ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება გაუგებარია.[35]

---

[30] იქვე, II, 75.
[31] იქვე, II, 92.
[32] იქვე, II, 92.
[33] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება №1/9/701,722,725 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები ჯამბულ გვიანიძე, დავით ხომერიკი და ლაშა გაგიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2017.
[34] იქვე, II, 83.
[35] იქვე, II, 82.

ამ პრობლემატიკას ფართოდ შეეხო საკონსტიტუციო სასამართლო საქმეზე საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, სადაც დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებით (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია), რომელიც ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას ნარკოტიკული საშუალების, მარიხუანის, ექიმის დანიშნულების გარეშე, განმეორებით მოხმარებისთვის.[36]

საკითხზე, რამდენად კონსტიტუციური იყო სასჯელის დაწესება იმ მიზნით, რომ პირმა ზიანი არ მიაყენოს საკუთარ ჯანმრთელობას, სასამართლო განმარტავს: „... სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება ისეთი ქმედებისთვის, რომელიც არ უქმნის საფრთხეს სხვების ჯანმრთელობას, არ შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოს აუცილებელ და პროპორციულ ჩარევად ადამიანის პიროვნული განვითარების უფლებაში. პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა (მათ შორის, თუნდაც დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება ან საპროცესო შეთანხმების დადება), ნასამართლობა და, შესაბამისად, პირის სტიგმატიზაცია ვერ უზრუნველყოფს ექიმის დანიშნულების გარეშე მარიხუანის განმეორებითი მოხმარებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიზნებს და პირის მიმართ სისხლისსამართლებრივ დევნას მიზნად აქცევს. ... იმის სავალდებულოდ დადგენა, თუ რისი ჭამა, დალევა, მოწევა შეიძლება და ამ ქმედებისათვის სასჯელის დაწესება, წარმოადგენს პირადი ავტონომიით დაცულ სფეროში ჩარევის ისეთ ფორმას, რომლის განხორციელებაც შესაძლებელია მხოლოდ საჯარო ინტერესების დასაცავად. პიროვნების დასჯა მხოლოდ საკუთარი ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების გამო, წარმოადგენს სახელმწიფოსგან გამოვლენილი პატერნალიზმის ისეთ ფორმას, რომელიც არ არის თავსებადი თავისუფალ საზოგადოებასთან. „ცალსახაა, რომ სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს ადამიანის თავისუფლებაში მხოლოდ იმიტომ, რომ ის ირაციონალურ ქმედებას ახორციელებს. ასეთი ჩარევა გამართლებული რომ იყოს, საჭიროა, მან მიაღწიოს გარკვეულ სიმწვავეს, სხვებს უქმნიდეს რეალურ და სერიოზულ საფრთხეს.[37]

მსგავს არგუმენტებზე დაყრდნობით, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმა, რომელიც მარიხუანის მოხმარებისთვის ითვალისწინებდა ადამინისტრაციული ჯარიმის დაკისრებას.[38] ამ შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, მარიხუანის პირად სივრცეში მოხმარება ლეგალიზდა.[39] თუმცა სასამართლომ არ გამორიცხა რიგ შემთხვევებში შეზღუდვის შენარჩუნების რაციონალურობა, როდესაც მარიხუანის განსაზღვრულ გარემოებებში მოხმარებას სხვებისთვის საფრთხის შექმნის პოტენციალი შეიძლება ჰქონდეს.[40]

მოსახმარად გამოუსადეგარი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების ფლობისთვის თავისუფლების აღკვეთის არაკონსტიტუციურობა დაადგინა სასამართლომ საქმეზე ნოე

---

[36] *ერემაძე, ქეთევან,* ძირითადი უფლებები თავისუფლებისთვის, წიგნი II, 2021, გვ. 206; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება №1/13/732 საქმეზე საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 12.

[37] იქვე, II, 49-50.

[38] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება №1/3/1282 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[39] *ნასრაშვილი, ანა,* ნარკოპოლიტიკა საქართველოში - შეჩერებული რეფორმა და ახალი ტენდენციები, 2019, გვ. 31.

[40] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება №1/3/1282 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 35.

კორსავა და გიორგი გამგებელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. ამ საქმეში მნიშვნელოვანი მიდგომა განავითარა სასამართლომ, რამდენადაც მან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ბრალდების მხარის და საქმის განმხილველი სასამართლოს (სათანადო ცოდნის მქონე სპეციალისტის დახმარებით) შეფასებას მიანდო, წარმოადგენს თუ არა აღმოჩენილი ნარკოტიკული საშუალება/ნარკოტიკულ საშუალებათა ნარევი მოსახმარად გამოსადეგ ოდენობას.[41]

2. მსუბუქი და მძიმე ნარკოტიკების გამიჯვნა

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განვითარებული პრაქტიკიდან მომდინარეობს ასევე მსუბუქი და მძიმე ნარკოტიკის დიფერენცირების აუცილებლობა და სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი სადამსჯელო თუ ალტერნატიული ღონისძიებების გატარების მიზანშეწონილობა. კერძოდ, საქმეზე სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ[42], სასამართლომ განმარტა, რომ საპატიმრო სასჯელების გამოყენება მცირე ოდენობის კანაფის პროდუქტების და სხვა მსუბუქი ნარკოტიკების მოხმარების/შეძენა-შენახვისთვის არ უნდა ჩაითვალოს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზნის მიღწევის გამოსადეგ საშუალებად. თუმცა, ისეთი ნარკოტიკული საშუალებები, „რომელიც ადვილად იწვევს შეჩვევას ან რომლის მოხმარების შემთხვევაში პირი ხდება აგრესიული და სჩადის ძალადობრივ ქმედებებს, შეიცავს რისკებს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისათვის“.[43] შესაბამისად, თავისუფლების აღკვეთის სასჯელის შეფარდება არაკონსტიტუციურად შეფასდა მხოლოდ მსუბუქი ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების, ანდა ერთი მოხმარებისთვის საჭირო ოდენობით შეძენის, შენახვის და დამზადების შემთხვევებში, რომელთა მოხმარება არ იწვევს სწრაფ შეჩვევას ან/და აგრესიულ ქცევას.

სასამართლოს განმარტებით, მნიშვნელოვანი ინტერესის მიღწევას ემსახურება სახელმწიფოს მიერ იმგვარი ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებისა და შეძენა-შენახვის დასჯა, რომლებიც იწვევს სწრაფ შეჩვევას და ძლიერი აბსტინენციის მდგომარეობას. სასამართლოს თანახმად, ამგვარი ნივთიერებების მოხმარებისათვის ან/და პირადი მოხმარების მიზნით (მოხმარების ერთი ოდენობა) შეძენისა და შენახვისთვის სასჯელის დაწესება ნამდვილად უზრუნველყოფს საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის ლეგიტიმური მიზნის მიღწევას.[44] სამოტივაციო ნაწილის მიხედვით, „გონივრულია იმის ვარაუდი, რომ აბსტინენციის მდგომარეობაში მყოფი მომხმარებელი, მიდრეკილი იყოს ანტისოციალური, არამართლზომიერი და ხშირად დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენისკენ. შესაბამისად, მაღალია როგორც ამგვარი ნივთიერებების

[41] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის განმწესრიგებელი სხდომის განჩინება №1/19/1265,1318 საქმეზე „ნოე კორსავა და გიორგი გამგებელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,“ 2020, I, აღწერილობითი ნაწილი, 7.

[42] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწვეტილება №1/6/770 საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2019, II სამოტივაციო ნაწილი, 31. სარჩელი შეეხებოდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა 45-ე და სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლების იმ ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობას, რომლებიც ითვალისწინებდა ნარკოტიკული საშუალებების პირადი მოხმარების მიზნით, მცირე ოდენობით, უკანონოდ დამზადების, შეძენის, შენახვის ან/და მოხმარებისთვის ადმინისტრაციული პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას.

[43] იქვე, II, 42.

[44] იქვე, II, 42.

მოხმარებით შექმნილი საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი, ისე – ასეთი ქმედების დასჯით დაცული საჯარო ინტერესის მნიშვნელობაც“.[45]

ამავე საქმეში, სასამართლომ ერთმანეთს დაუკავშირა ნარკოტიკული საშუალების მოხმარება და მისი ფლობა. გადაწყვეტილების თანახმად, „ნარკოტიკული საშუალების მოხმარება თავისთავად მიუთითებს მის დამზადებაზე ან შეძენასა და შენახვაზე. აშკარაა, რომ პირი საკუთარი ნებით ნარკოტიკულ საშუალებას ვერ მოიხმარს, თუ მასზე გარკვეული ფორმით მფლობელობა არ განახორციელა. ამდენად, ერთი მოხმარებისთვის საკმარისი ოდენობის ნარკოტიკული საშუალების დამზადება, შეძენა და შენახვა მისი მოხმარების განუყოფელი ნაწილია.“[46]

სასამართლომ ასევე არ გამორიცხა, რომ რიგ შემთხვევებში ნარკოტიკული საშუალების ბუნებიდან, მისი მოხმარების პირობებიდან გამომდინარე, ერთი მოხმარებისათვის საჭირო ოდენობაზე მეტი ნარკოტიკული საშუალების შენახვაც მიჩნეული იქნეს პირადი მოხმარების დოზად და ნარკოტიკული საშუალების მოხმარების მსგავსად, მინიმალურ გავლენას ახდენდეს ნარკოტიკული საშუალებების ბრუნვაზე.[47]

IV. 2019-2021 წლებში ნარკოტიკულ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის და დასჯის პრაქტიკა

1. სისხლისსამართლებრივი დევნა და განრიდების მექანიზმი

სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში ნარკოტიკული დანაშაულების სტატისტიკური მონაცემების ანალიზი საშუალებას იძლევა, შეფასდეს ამ მიმართულებით არსებული სასჯელთა პოლიტიკა.

საქართველოს პროკურატურის 2019-2021 წლების მონაცემებით, ნარკოტიკულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია. 2019 წელს, პროკურატურის მიერ მთლიანობაში დაწყებული 19114 დევნის 16% შეადგინა 260-ე და 273[1]-ე მუხლებზე დევნამ. ეს მაჩვენებელი, ქურდობასთან ერთად, პირველ ადგილს იკავებს, სხვა დანაშაულებზე დაწყებულ დევნას შორის. ანალოგიური მონაცემები (260-ე და 273[1]-ე მუხლები ერთად), სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მუხლობრივ მაჩვენებლებში, მესამე ადგილზეა 2020-2021 წლებში და შესაბამისად, 11,2% და 10,7%-ს შეადგენს.[48]

ამავდროულად, ნარკოდანაშაულებზე ძალიან დაბალია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული განრიდების მექანიზმის პრაქტიკაში გამოყენების მაჩვენებელი. პროკურატურის 2020 და 2021 წლების ყოველწლიური ანგარიშები ცხადყოფს, რომ სსკ-ის 33-ე თავით გათვალისწინებული არც ნაკლებად მძიმე და არც მძიმე კატეგორიის ნარკოდანაშაულები არ ხვდება იმ ჩამონათვალში, რომლებზეც ყველაზე ხშირად იქნა მიღებული განრიდების გადაწყვეტილება.[49] 2019 წლის მონაცემებით კი, პროკურატურამ განარიდა სსკ-ის 260-ე მუხლით ბრალდებული 20 და სსკ-ის 273[1]-ე

[45] იქვე, II, 58.
[46] იქვე, II, 31
[47] იქვე, II, 64.
[48] საქართველოს პროკურატურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 4-7, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3pJjJ9y, წვდომის თარიღი: 24.08.2022.
[49] იქვე, 10; გენერალური პროკურორის 2020 წლის ანგარიში, გვ. 4, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3AlnHdh, წვდომის თარიღი: 24.08.2022.

მუხლით პასუხისგებაში მიცემული 25 პირი მაშინ, როდესაც ამავე დანაშაულებზე ერთობლივად სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 3978 პირის მიმართ.[50]

ნარკოდანაშაულების სისხლის სამართლის საქმეთა აბსოლუტური უმრავლესობა, საპროცესო შეთანხმების მიღწევით სრულდება. 2021 წელს ეს მაჩვენებელი კი 88.2%, 2019 და 2020 წლებში აღნიშნული მაჩვენებელი, შესაბამისად, 92%-სა და 89%-ს შეადგენდა.[51] სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდეგ, ბრალდებულთა მხრიდან საპროცესო შეთანხმების მიღწევის ინტერესი იმ გარემოებით აიხსნება, რომ იგი პირობითი მსჯავრის გამოყენების წინაპირობაა. გარდა ამისა, მხოლოდ საპროცესო შეთანხმების ფარგლებშია შესაძლებელი კანონით გათვალისწინებულ სასჯელთა ზომებისა და სახეებისგან გადახვევა, რაც მხარეებს და სასამართლოს, მკაცრი სასჯელების პირობებში, მოქნილად გადაწყვეტილების მიღების საშუალებას აძლევს.

2. ნარკოდანაშაულებზე გამოყენებულ სასჯელთა პრაქტიკა

ბოლო სამი წლის სტატისტიკური მონაცემებით, ნარკოტიკულ დანაშაულებზე განხილულ საქმეთა და გამამტყუნებელ განაჩენთა უდიდესი წილი მოდის სსკ-ის 260-ე, 265-ე და 273[1]-ე მუხლებზე. 2019 წლის ეს მაჩვენებელი 93,3%, 2020 წელს - 94,4% და 2021 წელს - დაახლოებით 95%-ია.[52]

ამავე პერიოდში, ყველაზე დიდი ინტენსივობით გამოყენებულ სასჯელებს შორისაა პირობითი მსჯავრი, თავისუფლების აღკვეთა, ჯარიმა და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა. სამწუხაროდ, კვლევის ავტორები მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას, ნარკოტიკული დანაშაულების სტატისტიკა გაეანალიზებინათ რელევანტური მუხლების თითოეული ნაწილისა და პუნქტის მიხედვით, რადგან მსგავს დეტალიზებულ სტატისტიკას შესაბამისი უწყებები არ აწარმოებენ.

2021 წლის მონაცემებით, 260-ე მუხლით მსჯავრდებული 1253 პირიდან სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ 303 პირს შეეფარდა, რაც 260-ე მუხლზე თავისუფლების აღკვეთის 24.1%-იან მაჩვენებელს ნიშნავს. საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა 2021 წელს ყველა შემთხვევაში სისხლის სამართლის 265-ე, 273-ე და 273[1]-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისთვის დაინიშნა. საქმეთა 56%-ში მსჯავრდებულებს პირობითი სასჯელი დაენიშნათ. ამასთანავე, სასამართლო ინტენსიურად მიმართავდა ჯარიმასა და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას და მათი პროცენტული წილი დანიშნულ სასჯელებში, შესაბამისად, 15% და 14%-ია.[53]

2020 წელს მუხლების მიხედვით დაკისრებული სასჯელის ტიპები შემდეგნაირად ნაწილდება:

- 260-ე მუხლით მსჯავრდებული პირების 34.1%-ს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა, 64,2%-ს - პირობითი მსჯავრი, 1,5%-ს დაეკისრა ჯარიმა, 0,1%-ს (ორი ადამიანი) შეეფარდა საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა;

---

[50] ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, ნარკოვითარების წლიური ანგარიში 2019, გვ. 72, 74, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3wuQDyl, წვდომის თარიღი: 24.08.2022.

[51] *ფოცხვერიშვილი, გიორგი,* ნარკოპოლიტიკა საქართველოში - 2021 წლის ტენდენციები, 2022, გვ, 23.

[52] *ფოცხვერიშვილი, გიორგი,* ნარკოპოლიტიკა საქართველოში - 2021 წლის ტენდენციები, 2022, გვ, 21-22; ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, ნარკოვითარების წლიური ანგარიში 2020, გვ. 61, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ANeTOZ, წვდომის თარიღი: 24.08.2022.

[53] *ფოცხვერიშვილი, გიორგი,* ნარკოპოლიტიკა საქართველოში - 2021 წლის ტენდენციები, 2022, გვ, 23.

- 265-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე დაახლოებით 62% პირობით მსჯავრდებულია, მსჯავრდებულთა 20,5%-ს დაეკისრა ჯარიმა, 10%-ს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა, 7,5%-ს კი - საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა.
- 273[1]-ე მუხლით მსჯავრდებული პირების თითქმის ნახევარს, 46%-ს მიესაჯა საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, ჯარიმა დაეკისრა 39.5%, 13%-ს - პირობითი მსჯავრი, ხოლო 1.3%-ს - თავისუფლების აღკვეთა (10 პირს).

ანალოგიური სტატისტიკა 2019 წლის თანახმად შემდეგია:

- 260-ე მუხლით მსჯავრდებული პირების 29,4%-ს აღეკვეთა თავისუფლება, 68,8%-ს შეეფარდა პირობითი მსჯავრი, 1,7%-ს - ჯარიმა.
- 265-ე მუხლით მსჯავრდებული პირების 9,2%-ს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა, 56%-ს - პირობითი მსჯავრი, 28,3%-ს დაეკისრა ჯარიმა, 6,6%-ს - საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა.
- 273[1]-ე მუხლით მსჯავრდებულთა მიმართ ყველაზე ხშირად გამოყენებული სასჯელია საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა (49,4%) და ჯარიმა (38,3%), პირობითი მსჯავრის წილი 11,7%-ია.

ნარკოდანაშაულებზე თავისუფლების აღკვეთის მაჩვენებელი 2021 წელს დაახლოებით 14%-ს შეადგენდა, 2019-2020 წლებში კი - 19% და 20% იყო. უზენაესი სასამართლოს სტატისტიკით, ყველაზე მკაცრი სასჯელი პირებს სსკ-ის 260-ე და 262-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისას შეეფარდებათ. ამასთან, სსკ-ის 260-ე მუხლთან დაკავშირებით, უზენაესი სასამართლო განცალკევებით არ აღრიცხავს მონაცემებს ნარკოტიკული საშუალების გასაღების და სხვა ქმედებების (შეძენა, შენახვა და სხვა) თაობაზე.[54] ნარკოტიკულ დანაშაულებზე თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიულ სასჯელებს შორის ჯარიმა და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა ჭარბობს. ერთეულ შემთხვევებში გამოიყენება შინაპატიმრობა. პირობითი მსჯავრი, როგორც სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიება, ცალკე იქნება განხილული.

ჯარიმა, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა სასჯელთა მსგავსად, სახელმწიფოს მხრიდან პირის მიერ ჩადენილი ქმედების უარყოფით შეფასებას გამოხატავს და პირს ქონებრივი გადასახადის სახით ეკისრება. ფულადი სანქცია შეეფარდებათ ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევებსაც საქმეთა აბსოლუტურ უმრავლესობაში, ბოლო წლების სტატისტიკით.[55]

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით ჯარიმის, როგორც ძირითადი სასჯელის სახით გამოყენება, მხოლოდ სისხლის სამართლის კერძო ნაწილის მუხლით ან მისი ნაწილით არის შესაძლებელი. გამონაკლისია საპროცესო შეთანხმების გაფორმება მხარეებს შორის, როდესაც ჯარიმის შეფარდების ძირითადი წესებიდან გადახვევა სსკ-ის 55-ე მუხლით დაიშვება.

დამატებითი სასჯელის სახით კი ჯარიმის გამოყენება მაშინაც შეიძლება, როცა იგი სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით არ არის გათვალისწინებული. ჩვენს ქვეყანაში ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა განსაზღვრული არ

---

[54] *ფოცხვერიშვილი, გიორგი,* ნარკოპოლიტიკა საქართველოში - 2021 წლის ტენდენციები, 2022, გვ, 22; ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, ნარკოვითარების წლიური ანგარიში 2020, გვ. 61, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ANeTOZ, წვდომის თარიღი: 24.08.2022.

[55] ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, ნარკოვითარების წლიური ანგარიში 2020, გვ. 66, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ANeTOZ, წვდომის თარიღი: 24.08.2022; ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, ნარკოვითარების წლიური ანგარიში 2019, გვ. 78, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3wuQDyl, წვდომის თარიღი: 24.08.2022

არის, ჯარიმის მინიმალური ოდენობა კი 2000 ლარია. თუ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლის სანქცია სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ვადით ითვალისწინებს, ასეთ შემთხვევაში ჯარიმის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 500 ლარზე ნაკლები.[56]

კანონმდებლის მოთხოვნით, ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისთვის სისხლისსამართლებრივი წესით პასუხისგებაში მიცემის შემთხვევაში, მინიმალური ჯარიმა არ უნდა იყოს ამავე ქმედებისთვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ფულადი სანქციის ორმაგ ოდენობაზე, სსკ-ის 273[1]-ე მუხლის შემთხვევაში კი - სამმაგ ოდენობაზე ნაკლები, რაც შესაბამისად, ჯარიმის ქვედა ზღვარს 1000 და 1500 ლარამდე ზრდის.

შესაძლოა, ზოგადად, ჯარიმა, როგორც სასჯელი, თავისუფლების აღკვეთის რეალური ალტერნატივა იყოს, თუმცა, აუცილებელია, მის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავდეს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით. კანონის ეს მოთხოვნა გულისხმობს, რომ ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში სასამართლომ მხედველობაში მიიღოს პირის ეკონომიკური მდგომარეობა, მისი შემოსავალი, ოჯახური მდგომარეობა და ბუნებრივია, პირველ რიგში თავად ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და ხასიათი.[57] უზენაესი სასამართლოს წარმოებული სტატისტიკური მონაცემებით ირკვევა, რომ 2018 წლიდან დღემდე, ნარკოტიკულ დანაშაულებზე მსჯავრდებულთა უდიდესი ნაწილი, 86%-დან 91%-მდე, უმუშევარი იყო, და ეს მონაცემი მზარდია (2018-2019 წლებში უმუშევართა წილი იყო 86%, 2020 წელს – 87%, ხოლო 2021 წლის პირველი 9 თვის განმავლობაში – 91%). ეს კიდევ ერთხელ ნათლად აჩვენებს ნარკოტიკების მოხმარების სოციალურ ასპექტებს და სახელმწიფოს მხრიდან ზრუნვისა და მხარდაჭერის მიდგომების აუცილებლობას.[58]

ალტერნატიულ სასჯელთა შორის, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა ყველაზე ხშირად შეეფარდებათ სსკ-ის 273[1]-ე და 265-ე მუხლით მსჯავრდებულებს. საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის მოხდის ზოგად წესსა და პირობებს საქართველოში არეგულირებს კანონი „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ.“ სასჯელის ამ სახის შეფარდების შემდეგ, პრობაციის ბიუროს მიერ განისაზღვრება მსჯავრდებულის მიერ შესასრულებელი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახე, მთლიანი ვადა, ყოველდღიური ხანგრძლივობა, სამუშაო ადგილი, დამსაქმებლის დასახელება და მისამართი, აგრეთვე საკითხის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი სხვა გარემოებები.[59] საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეიძლება გამოიხატოს სკვერების დალაგებაში, მცენარეთა დარგვაში, სამშენებლო სამუშაოების წარმოებაში და ა.შ. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შესაძლებელია განხორციელდეს დღის ნებისმიერ მონაკვეთში. სამუშაო პერიოდი მაქსიმალურად უნდა იყოს მორგებული სასჯელდადებულის ჩვეულებრივი ცხოვრების რიტმზე. ამასთან, კანონმდებლობა ადგენს, რომ მსჯავრდებულის სურვილის გათვალისწინებით შესაძლებელია სამუშაო განხორციელდეს დასვენების დღეებშიც.

---

[56] სსკ-ის 42-ე მუხლი.

[57] *თოდუა, ნონა,* სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, 2016, გვ. 323.

[58] *გერლიანი, თორნიკე,* ზრუნვა თუ კონტროლი: საქართველოს პრობაციის სისტემის ეფექტიანობის შეფასება ნარკოტიკულ დანაშაულებთან მიმართებით, გვ. 56.

[59] „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე-33-ე მუხლები.

3. პირობითი მსჯავრი

2019-2021 წლებში ნარკოდანაშაულისთვის პასუხისგებაში მიცემული პირების მიმართ ყველაზე ხშირად გამოიყენება პირობითი მსჯავრი. მისი წილი, 2019 წელს ნარკოდანაშაულისთვის მსჯავრდებულთა მიმართ 50%-ს შეადგენს (1988 პირს შეეფარდა პირობითი მსჯავრი). 2020 წელს პირობითი მსჯავრის მაჩვენებელი 47.3%-ია (1230 პირს შეეფარდა), 2021 წელს კი - 56% (1445 პირი). ყოველწლიურად, ეს სისხლისსამართლებრივი მექანიზმი ყველაზე დიდი სიხშირით გამოიყენება სსკ-ის 260-ე, 265-ე და 273[1]-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისთვის. [60] პირობით მსჯავრს დამატებითი სასჯელის სახით ხშირად ერთვის ჯარიმა და საქმიანობის უფლების ჩამორთმევა.[61] სტატისტიკური მონაცემების თანახმად,[62] 2019 წელს:

- სსკ-ის 260-ე მუხლით (პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილები) პირობით მსჯავრდებულთაგან 81%-ს შეეფარდა ჯარიმა, 59%-ს დამატებითი სასჯელის სახით ჩამოერთვა საქმიანობის უფლება, 14% - ასევე დაეკისრა საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა.
- სსკ-ის 265-ე მუხლით (პირველი და მე-2 ნაწილები) პირობით მსჯავრდებულთა 34% დაჯარიმდა, 49%-ს ჩამოერთვა საქმიანობის უფლება, 26%-ს შეეფარდა საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა.
- სსკ-ის 273[1]-ე მუხლით პირობით მსჯავრდებულთა დაახლოებით 43%-ს დაეკისრა ფულადი სანქცია, 35%-ს შეეზღუდა საქმიანობის უფლება, 11%-ს კი - საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა.

2020 წლის ანალოგიურ დანაშაულებზე არსებული მონაცემებით:[63]

- სსკ-ის 260-ე მუხლით სულ 773 პირობით მსჯავრდებულთაგან 80%-ს შეეფარდა ჯარიმა, მათ 58%-ს დამატებითი სასჯელის სახით ჩამოერთვა საქმიანობის უფლება, 13% - ასევე დაეკისრა საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა.
- სსკ-ის 265-ე მუხლით პირობით მსჯავრდებულთა 33% დაჯარიმდა, ამდენივეს ჩამოერთვა საქმიანობის უფლება, 39%-ს დამატებით შეეფარდა საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა.
- სსკ-ის 273[1]-ე მუხლით პირობით მსჯავრდებულთა დაახლოებით მესამედს შეეზღუდა საქმიანობის უფლება, ისევე როგორც დაეკისრა საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა.

2021 წლის[64] სტატისტიკის მიხედვით:

- სსკ-ის 260-ე მუხლზე ჯარიმის შეფარდება 78%-ს უტოლდება, საქმიანობის უფლების ჩამორთმევის მაჩვენებელი 54%-ია, საზოგადობისთვის სასარგებლო შრომის მაჩვენებელი 61%-ია.

---

[60] ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, ნარკოვითარების წლიური ანგარიში 2020, გვ. 61, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ANeTOZ, წვდომის თარიღი: 24.08.2022; *გერლიანი, თორნიკე,* ზრუნვა თუ კონტროლი: საქართველოს პრობაციის სისტემის ეფექტიანობის შეფასება ნარკოტიკულ დანაშაულებთან მიმართებით, გვ. 54.

[61] *გერლიანი, თორნიკე,* ზრუნვა თუ კონტროლი: საქართველოს პრობაციის სისტემის ეფექტიანობის შეფასება ნარკოტიკულ დანაშაულებთან მიმართებით, გვ. 55.

[62] *გერლიანი, თორნიკე,* ზრუნვა თუ კონტროლი: საქართველოს პრობაციის სისტემის ეფექტიანობის შეფასება ნარკოტიკულ დანაშაულებთან მიმართებით, გვ. 55.

[63] იქვე.

[64] იქვე, დამუშავებულია 2021 წლის 9 თვის სტატისტიკური მონაცემები.

- სსკ-ის 265-ე მუხლით პირობით მსჯავრდებულთაგან თითქმის ყოველ მესამეს ერდროულად შეეფარდა ჯარიმა და ხსენებული დამატებითი სასჯელები.
- სსკ-ის 273[1]-ე მუხლის შემთხვევაში, დაახლოებით მსგავსია და პირობით მსჯავრდებულთა 25%-ის მიმართ გამოიყენება როგორც ჯარიმა, ისე საქმიანობის უფლების ჩამორთმევა და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა.

როგორც სტატისტიკიდან ჩანს, პირობით მსჯავრდებულებს ხშირად, ერთდროულად რამდენიმე ტიპის სასჯელი ეკისრებათ, მათ შორის ფინანსური სანქცია და საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ერთად, რაც მათთვის, უმუშევრობის ისედაც მაღალი მაჩვენებლის ფონზე, როგორც წესი, მძიმე სოციალურ და ფინანსური წნეხია. ეს მიდგომა ცხადყოფს, რომ მოქმედი ნარკოპოლიტიკა მეტწილად რეპრესიულია და არა ზრუნვაზე დაფუძნებული.[65]

არსებული კანონმდებლობით, „პირობით მსჯავრდებულისა და პირობით ვადამდე გათავისუფლებული პირის მიმართ კანონით დადგენილი რეჟიმი მოიცავს პრობაციის ოფიცრის მიერ დადგენილ დროს და ადგილას კვირაში ერთხელ გამოცხადების ვალდებულებას“. ეს სტანდარტული პროცედურაა, რომელიც ყველა მსჯავრდებულზე ვრცელდება. კანონის თანახმად, დადგენილი რეჟიმი შეიძლება მოიცავდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოვალეობების შესრულებას და ასევე, მსჯავრდებულის რისკისა და საჭიროების შეფასების საფუძველზე, სავალდებულო სარეაბილიტაციო კურსის გავლის ვალდებულებას.[66] მოვალეობის დაკისრების საკითხი მოწესრიგებულია სსკ-ის 65-ე მუხლით, რომელიც შეიცავს სანიმუშო[67] და არა ამომწურავ ჩამონათვალს, პირობითი მსჯავრის დროს შესასრულებელი დამატებითი მოვალეობების თაობაზე, მათ შორის, ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის, ტოქსიკომანიის კურსის გავლის შესახებ. პრაქტიკაში ამ ბერკეტის გამოყენების დეტალებზე, პრობაციის სააგენტო სტატისტიკას არ აწარმოებს. სარეაბილიტაციო კურსის გავლის ვალდებულებასთან დაკავშირებით კი, სააგენტოს სტატისტიკა ზოგადია, რაც არ იძლევა იმის დადგენის საშუალებას, აქვს თუ არა თითოეულ პირობით მსჯავრდებულს შესაძლებლობა, მისი სურვილის საფუძველზე ჩაერთოს მკურნალობა-რეაბილიტაციის პროგრამებში.[68]

სააგენტოს ბენეფიციარ მსჯავრდებულებთან მიმართებით, კანონმდებლობა გამოყოფს სამი ტიპის სარეაბილიტაციო პროგრამას: „ა) დანაშაულებრივ ქცევაზე ფოკუსირებული პროგრამები – ინტერვენციები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება კონკრეტული დანაშაულებრივი ქცევის ცვლილებას (სავალდებულოა მსჯავრდებულისთვის); ბ) დანაშაულებრივ ქცევასთან დაკავშირებული პროგრამები – ინტერვენციები, რომლებიც არაპირდაპირ უკავშირდება დანაშაულებრივი ქცევის ცვლილებას, მაგრამ ზემოქმედებს მასზე (შეიძლება იყოს სავალდებულო და ნებაყოფლობითი); გ) პიროვნული და სოციალური უნარების განვითარების პროგრამები – კლინიკურ საჭიროებებთან გამკლავების და სოციალური უნარების განვითარების ინტერვენციები (შეიძლება იყოს სავალდებულო და ნებაყოფლობითი)“.[69] ამ კუთხით, სააგენტოს ფუნქციები მსჯავრდებულ

---

[65] *გერლიანი, თორნიკე,* ზრუნვა თუ კონტროლი: საქართველოს პრობაციის სისტემის ეფექტიანობის შეფასება ნარკოტიკულ დანაშაულებთან მიმართებით, გვ. 54.

[66] საქართველოს კანონი „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“, მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტი.

[67] *თოდუა, ნონა,* სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, 2016, გვ.436.

[68] *გერლიანი, თორნიკე,* ზრუნვა თუ კონტროლი: საქართველოს პრობაციის სისტემის ეფექტიანობის შეფასება ნარკოტიკულ დანაშაულებთან მიმართებით, გვ. 59.

[69] საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება No502 „სრულწლოვან მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით რისკისა და საჭიროებების შეფასების, აგრეთვე, ინდივიდუალური გეგმის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის წესის (შემთხვევის მართვის წესი) დამტკიცების შესახებ“,25-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

ბენეფიციარებთან მიმართებით მეტად ბუნდოვანია და ზრუნვისა და მხარდაჭერის კონკრეტულ ვალდებულებებს ნაკლებად აჩენს.[70]

V. ალტერნატიული სასჯელებთან დაკავშირებული საერთაშორისო მიდგომები

1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

ნარკოტიკული დანაშაულისთვის პენიტენციურ სისტემაში მყოფ მსჯავრდებულთა დიდი ნაწილი, მეტწილად წარმოადგენს ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვაში ჩართულთაგან ყველაზე ქვედა ფენას, ნარკოტიკების მომხმარებლების და მოვაჭრეების სახით, რომელთაც სოციალური და ეკონომიკური მარგინალიზაციის პროცესი მწვავედ ეხებათ. როგორც წესი, ამ საფეხურზე მყოფმა ნარკოდამნაშავეებმა ცოტა იციან ნარკოტიკების ბაზრის ჯაჭვში მაღლა მდგომთა ოპერირების დეტალების შესახებ, ვინაიდან ეს უკანასკნელნი ავტონომიურად და იზოლირებულად მუშაობენ და მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებული საქმიანობის კონფიდენციალურობაზე. შესაბამისად, ნარკოტიკების უკანონოდ ბრუნვის სტრუქტურაში, ქვედა საფეხურზე მყოფი აქტორებისთვის რთულია, გასცენ ღირებული ინფორმაცია ზედა რგოლებში მყოფ პირთა საქმიანობასთან დაკავშირებით.[71]

აქედან გამომდინარე, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ქვედა რგოლის ნარკოდამნაშავეთათვის საპატიმრო სასჯელების შეფარდების ეფექტიანობა, რამდენადაც ნარკოტიკებით უკანონოდ ვაჭრობის ზედა რგოლი ხელშეუხებელი რჩება. გარდა ამისა, პატიმრობის მსგავსი სადამსჯელო ღონისძიებები იშვიათად ავლენს რეაბილიტირების შესაძლებლობას. მეტიც, კვლევები მიუთითებს, რომ ნარკოდამნაშავეები, რომლებსაც პატიმრობა შეეფარდათ, რეციდივის უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვთ, და ასევე უფრო სწრაფად ჩადიან განმეორებით დანაშაულს, ვიდრე სხვა მსჯავრდებულები. ამასთან, დამნაშავეთა საზოგადოებაში რეინტეგრაციას ხშირად აფერხებს სტიგმა, რამაც შეიძლება ნეგატიური გავლენა იქონიოს სოციალური ურთიერთობების აღდგენის, დასაქმების და საცხოვრებლით უზრუნველყოფის საჭიროებებზე. გარდა ამისა, პატიმრობის შეფარდება საზოგადოებას კოლოსალური ფინანსური ხარჯების წინაშე აყენებს.[72]

ალტერნატიული სასჯელების საჭიროებას წამოჭრის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, პენიტენციური დაწესებულებების გადატვირთულობის პრობლემის გადაჭრის კონტექსტში. მიუხედავად იმისა, რომ სასჯელთა პოლიტიკის შეხედულებისამებრ წარმოება სახელმწიფოთა ექსკლუზიურ და არსებით პრეროგატივად განიხილება და ამასთან, ევროპის კონტინენტის სახელმწიფოთა შორის დიდი სხვაობა სისხლისსამართლებრივი სანქციების კუთხით, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს სასჯელთა პოლიტიკის საკითხებში ჩარევისგან თავის შეკავებისკენ უბიძგებს, სასამართლომ ამ მიდგომას გარკვეულწილად გადაუხვია. სასჯელის პროპორციულობის, არაგონივრული ხანგრძლივობის და ადამიანის ღირსებასთან

---

[70] *გერლიანი, თორნიკე,* ზრუნვა თუ კონტროლი: საქართველოს პრობაციის სისტემის ეფექტიანობის შეფასება ნარკოტიკულ დანაშაულებთან მიმართებით, გვ. 60.

[71] *Plettinckx, Els/Antoine, Jérôme/Gremeaux, Lies/Van Oyen, Herman*, Alternatives to prison for drug offenders in Belgium during the past decade, in: International Journal of Law and Psychiatry, Vol. 61, November–December 2018, 13-21, გვ.13.

[72] იქვე, გვ. 13.

შესაბამისობის კუთხით პრაქტიკის განვითარების გარდა,[73] სასამართლომ ალტერნატიული სასჯელების გამოყენების რეკომენდაცია გასცა არაერთ გადაწყვეტილებაში, სასჯელაღსრულების დაწესებულებათა გადატვირთვის თავიდან აცილების კონტექსტში.

ECtHR ხაზს უსვამს, რომ თავისუფლების აღკვეთა ყოველთვის უნდა იქნას გამოყენებული, როგორც უკანასკნელი საშუალება და მოითხოვს სხვა, ნაკლებად მკაცრი ზომების გათვალისწინებას, განსაკუთრებით წინასწარი პატიმრობის შემთხვევაში. სასჯელაღსრულების დაწესებულებათა გადატვირთულობის პრობლემის გადაწყვეტის გზად სასამართლო ასევე მიზანშეწონილად მიიჩნევს გარკვეული, მათ შორის ნარკოდანაშაულების დეკრიმინალიზაციას, საზოგადოებრივი სანქციებისა გამოყენების ხელშეწყობას, პატიმართა ვადაზე ადრე გათავისუფლებას, უფრო ხანმოკლე სასჯელების გამოყენებას, ისევე როგორც მისი ალტერნატივების დაწესებას.[74]

2. ალტერნატიული სასჯელები ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებულ კონვენციებში

ნარკოტიკულ საშუალებებთა დაკავშირებული თანამედროვე კონვენციების ჩარჩო სამ ძირითად დოკუმენტს აერთიანებს. გაერთიანებული ერების 1961 წლის ერთიანი კონვენცია კრძალავს კოკას ფოთლების, ოპიუმის და მცენარე კანაფისგან დამზადებული სხვადასხვა ნარკოტიკული საშუალების რეკრეაციულ მოხმარებას.[75] კონვენცია სახელმწიფოებს ავალდებულებს, რომ ეროვნული კონსტიტუციური წესრიგის გათვალისწინებით, დასჯადად გამოაცხადონ ნარკოტიკული საშუალებების (უკანონო) კულტივირება, წარმოება, ვაჭრობა, ყიდვა-გაყიდვა, განაწილება, გაგზავნა, ტრანზიტი და მსგავსი ქმედებები.[76] კონვენციის თანახმად, თუკი ჩამოთვლილი ქმედებები სერიოზული ხასიათისაა, სასჯელის სახით უნდა გამოიყენებოდეს პატიმრობა ან თავისუფლების აღკვეთის სხვა ზომები. მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის პრეამბულა ნარკოტიკულ საშუალებებზე კონტროლის გაზრდის მიზეზად „საზოგადოების ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვას“ ასახელებს, ამ მიზნის მისაღწევად შემოთავაზებულ ერთადერთ საშუალებად ასეთი ნივთიერებების გამოყენებისა და ვაჭრობის აბსოლუტურ აკრძალვას და ამ წესის დამრღვევთა დევნას განიხილავს. რამდენიმე წლის შემდეგ 1961 წლის ერთიანი კონვენციის ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით მიღებული 1972 წლის ოქმი უკვე ხაზგასმით აღნიშნავს ნარკოტიკების მოხმარებისთვის მკურნალობისა და რეაბილიტაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის აუცილებლობას თავისუფლების აღკვეთის პარალელურად ან ალტერნატიულად.[77]

დამატებით, გაეროს 1988 წლის კონვენცია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ძირითადად ყურადღებას ამახვილებს ნარკოტიკებით ვაჭრობასა და ფულის გათეთრების

---

[73] *Cliquennois, Gaëtan/Snacken, Sonja* Can European human rights instruments limit the power of the national state to punish? A tale of two Europes, in: European Journal of Criminology 2021, Vol. 18(1) 11-32, გვ. 15.

[74] იქვე, გვ.15.

[75] *გეგელია, თამარ/დავითური, გიორგი/იმნაძე, გურამ,* ნარკოტიკული დანაშაული, 2020, გვ. 25.

[76] ერთიანი კონვენციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

[77] *Labate, Beatriz Caiuby/Cavnar, Clancy*, Prohibition, Religious Freedom, and Human Rights: Regulating Traditional Drug Use, 2014, გვ.2.

კრიმინალიზების აუცილებლობაზე - ნარკოტიკების აკრძალვის თანმხლები შედეგის სახით.[78]

ხსენებულ კონვენციათა სისხლისსამართლებრივი დებულებების ანალიზი, კერძოდ ერთიანი კონვენციის 36-ე მუხლი, 1971 წლის კონვენციის 22-ე მუხლი და 1988 წლის კონვენციის მე-3 მუხლი, ცხადყოფს, რომ იმ ქმედებების ჩამონათვალში, რომლებიც მხარეთა შიდა კანონმდებლობაში უნდა იქცეს სისხლის სამართლის დანაშაულად, არ გვხვდება მოხმარების დასჯადობა per se. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი კონვენციის ფარგლებში არ არსებობს ნარკოტიკების მოხმარების კრიმინალიზაციის კონკრეტული ვალდებულება.[79]

გარდა ამისა, პირადი მოხმარების მიზნით ნარკოტიკული საშუალების ფლობასთან დაკავშირებით, კონვენცია მოითხოვს ისეთი ფლობის დასჯადობას, რომელიც გასაღებისთვის არის გამიზნული. აღნიშნულისგან განსხვავებით, კონვენციის ვალდებულებებიდან ცალსახად არ გამომდინარეობს მოხმარების მიზნით ფლობის დასჯადობა, ვინაიდან კონვენციის მთავარი იდეა ნარკოტიკების უკანონო ვაჭრობის და არა მოხმარების აკრძალვაა. ამასთან, 1988 წლის კონვენციის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი, მართალია, მოითხოვს პირადი მოხმარების მიზნით ნარკოტიკის ფლობისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებას, მაგრამ ასევე განსაზღვრავს ამ მოთხოვნისგან ე.წ დამცავ დათქმას, (escape/safeguard clause) რომელიც „ხელშემკვრელი სახელმწიფოების კონსტიტუციურ პრინციპებსა და სამართლებრივი სისტემის ფუნდამენტური კონცეფციის“ შესაბამისი რეგულაციის მიღებას გულისხმობს. ეს მხარეებს შესაძლებლობას აძლევს, ნარკოტიკების მოხმარების მიზნით ფლობის კრიმინალიზებაზე უარი თქვას შიდა საკანონმდებლო სისტემასა და კონსტიტუციურ პრინციპებზე დაყრდნობით.[80]

საპატიმრო სასჯელების ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენების კუთხით, განსაკუთრებული დატვირთვა აქვს 1972 წლის დამატებით ოქმს. მისი მეშვეობით, 1961 წლის ერთიანი კონვენციის 36-ე მუხლს დაემატა დებულება, რომელიც ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ნარკოტიკების მომხმარებლების მიმართ მსჯავრდების ან დასჯის ალტერნატივად მკურნალობის, განათლების, ზრუნვის, რეაბილიტაციის და საზოგადოებაში რეინტეგრაციის ღონისძიებების გატარების უფლებამოსილებას ანიჭებს. 1988 წლის კონვენციამ გააფართოვა ამ ღონისძიებების ადრესატთა წრე და მოიცვა არა მხოლოდ ნარკომომხმარებლები, არამედ ნარკოტიკული დანაშაულის ჩამდენი პირები ზოგადად.[81] დებულებით ასევე აღიარებულია, რომ არ არის აუცილებელი, ალტერნატიული ინსტრუმენტები ექსკლუზიურად სასამართლოს კომპეტენციას მიეკუთვნებოდეს, არამედ შესაძლოა მათი გამოყენება სამართალწარმოების სხვა ეტაპებზეც, მათ შორის სისხლისსამართლებრივი დევნის დროს.[82]

[78] იქვე.
[79] იქვე.
[80] იქვე, გვ. 13.
[81] 1988 წლის კონვენციის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილი, ბ-დ ქვეპუნქტები.
[82] European Monitoring Centre for Drugs and Drug Addiction (2015), Alternatives to punishment for drug-using offenders, EMCDDA Papers, გვ. 4.

3. ალტერნატიული სასჯელების ფორმები

საპატიმრო სასჯელების ალტერნატივები არ ეფუძნება დასჯას, არამედ მოქმედებს დაცვის და რეაბილიტაციის მიზნებით. იზოლაციის ნაცვლად, ალტერნატიული სასჯელები მიმართულია მსჯავრდებულთა რეინტეგრაციისკენ, რისთვისაც ის დაწესებულ სანქციებს საზოგადოების შიგნით და არა მისგან იზოლირებით აღასრულებს. ეს მიდგომა ზღუდავს ციხეში გატარებულ დროს და ქმნის შესაძლებლობას, გააუმჯობესოს ცხოვრების სხვადასხვა სფეროები, როგორიცაა საცხოვრებელი, დასაქმება, სოციალური გარემო და დასვენებისთვის განკუთვნილი დრო, მსჯავრდებულთა გაძლიერების გზით. ამასთან, ივარაუდება, რომ ამ პირთა ზედამხედველობა საზოგადოებაში გაცილებით იაფია, პატიმრობასთან შედარებით.[83]

სასჯელისა და ციხის ალტერნატივის შესახებ დისკუსია ევროპის პოლიტიკური დღის წესრიგის სათავეში, ბოლო ათი წელია მოექცა, მას შემდეგ, რაც 2013 წელს ევროპის მასშტაბით (ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში) პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ ნარკოდამნაშავეთა რიცხვმა მილიონს მიაღწია, რამაც ცხადი გახადა ნარკოდანაშაულებზე თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული, უფრო ეფექტიანი რეაგირების/ღონისძიებების შემუშავების საჭიროება.[84]

ამის შემდეგ, ევროკავშირის ნარკოტიკების სტრატეგიაში (2013-2020) აღინიშნა, რომ დანაშაულის, რეციდივის თავიდან ასაცილებლად და სისხლის სამართლის სისტემის ეფექტურობისა გაუმჯობესების მიზნით, პროპორციულობის დაცვით, ევროკავშირი ხელს შეუწყობს ნარკოტიკების მომხმარებელთა მიმართ რიგი ღონისძიებების და პროგრამების შემუშავებას, გამოყენებას და მონიტორინგს, მათ შორის ნარკოტიკების მომხმარებელთა მიმართ საპატიმრო სასჯელების და იძულებითი სანქციების შესაბამისი ალტერნატივების გამოყენებას, როგორიცაა განათლება, მკურნალობა, რეაბილიტაცია, შემდგომი ზრუნვა და სოციალური რეინტეგრაცია.[85]

გაეროს პატიმრობის ალტერნატივების ძირითადი პრინციპების და კარგი პრაქტიკის შესახებ სახელმძღვანელო (UNODC, 2007) ალტერნატიულ სასჯელთა პოლიტიკაში ერთმანეთისგან განასხვავებს მსჯავრდების ალტერნატივებს, (alternatives to conviction) მაგალითად, ზოგიერთი დანაშაულის დეკრიმინალიზაციას და დასჯის ალტერნატივებს (alternatives to punishment), რაშიც სისხლისსამართლებრივი დევნაზე გარკვეული წინაპირობების სანაცვლოდ უარის თქმა მოიაზრება.[86]

ქვეყანას შეუძლია მსჯავრდების ალტერნატიული გზა აირჩიოს დეკრიმინალიზაციის პროცესით, რაც მოიაზრებს სასჯელის შენარჩუნებას სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიღმა. გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასაპატიმრო ღონისძიებათა შესახებ, "ტოკიოს წესები" (გენერალური ასამბლეის 1990 წლის 14 დეკემბრის რეზოლუცია 45/110) ალტერნატიულ ღონისძიებებს მიაკუთვნებს სიტყვიერ

[83] *Plettinckx, Els/Antoine, Jérôme/Gremeaux, Lies/Van Oyen, Herman*, Alternatives to prison for drug offenders in Belgium during the past decade, in: International Journal of Law and Psychiatry, Vol. 61, November–December 2018, 13-21, გვ.14.

[84]European Monitoring Centre for Drugs and Drug Addiction (2015), Alternatives to punishment for drug-using offenders, EMCDDA Papers, გვ. 2.

[85]European Monitoring Centre for Drugs and Drug Addiction (2015), Alternatives to punishment for drug-using offenders, EMCDDA Papers, გვ. 2.

[86] Handbook of basic principles and promising practices on Alternatives to Imprisonment, gv.13-14.

გაფრთხილებას, ფულად სანქციებს (ჯარიმა), სასჯელის გადავადებას და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას, პირობით გათავისუფლებას.[87]

პირობით მსჯავრდების დროს, პრობაციის სისტემაში პირის მოხვედრისას, მას უნდა მიეწოდებოდეს საჭირო ფსიქოლოგიური, სოციალური და მატერიალური დახმარება. ტოკიოს წესების თანახმად, პირდაპირი მატერიალური დახმარება, როგორიცაა, მაგალითად, საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფა, გულისხმობს ნებისმიერი აუცილებელი საჭიროების დაკმაყოფილებას.[88] ამ ტიპის სასჯელის უპირატესობა ისიცაა,

რომ პრობაციონერებზე ზედამხედველობის ხარჯები, პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ თავისუფლებააღკვეთილებთან შედარებით, როგორც წესი, გაცილებით მცირდება.[89]

ალტერნატიულ მექანიზმებს შორის, შინაპატიმრობა შედარებით მკაცრი, თუმცა თავისუფლების აღკვეთასთან შედარებით ნაკლებად ინტენსიური სანქციაა. სასამართლომ შინაპატიმრობის შეფარდებისას, მიზანშეწონილია, შეზღუდოს შინ ყოფნის ხანრძლივობა იმგვარად, რომ მაგალითად, პირს დღის განმავლობაში მუშაობის საშუალება მიეცეს, მაგრამ შეეზღუდოს ღამით სახლის დატოვების უფლება. სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ასევე პირთან მცხოვრებთა საჭიროებები, რათა უხეშად არ დაირღვეს მათი ცხოვრების ყოველდღიური წესი და პირობები.[90]

განხილული მექანიზმების მიღმა, ნარკოდანაშაულთან მიმართებით ალტერნატიულ დასჯაზე მსჯელობისას განსაკუთრებული აქცენტი კეთდება სარეაბილიტაციო ღონისძიებებზე, უფრო ზუსტად - „ჯანმრთელობაზე ორიენტირებულ მიდგომაზე“.[91]

„ჯანმრთელობაზე ორიენტირებული მიდგომის“ ერთ-ერთი ფორმაა მკურნალობის პროგრამების არსებობა, რომლებიც მიმართულია სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილი ნარკოტიკების მომხმარებლების ან სხვა პირებისკენ, რომელთაც ჩაიდინეს ნარკოტიკის პირადი მოხმარებისთვის გამიზნული შეძენა, შენახვა, კულტივირება, მცირე ოდენობით ვაჭრობა, ნარკოტიკული საშუალების მოპოვებასთან დაკავშირებული სხვა დანაშაულები.[92] სამკურნალო პროგრამაში ჩართვის შემთხვევაში, მათ არ დაეკისრებათ უფრო მკაცრი სისხლისსამართლებრივი სანქცია. ასეთ პროგრამაში ჩართვა, ცხადია, ნებაყოფლობითია, ნარკოდანაშაულის ჩამდენის ინფორმირებულ თანხმობას ეფუძნება და ერთგვარად, კვაზი-სავალდებულო მკურნალობის ხასიათს იძენს. [93]

ნარკოდანაშაულთან შემხებლობაში მყოფი პირების სამკურნალო სერვისებში ჩართვის კუთხით მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ პოლიციის თანამშრომლებს, რომელთაც პირველებს უხდებათ ნარკოდამნაშავეებთან კონტაქტის დამყარება. ნარკოტიკულ დანაშაულში ეჭვმიტანილი პირის დაკავების შემდეგ, პოლიციის ოფიცრებს შეუძლიათ მიმართონ რეფერირების მექანიზმს, რაც გულისხობს ადგილობრივ drug services-ებთან დაკავშირებას, რომლებიც ერთვებიან პრობლემური მომხმარებლების

[87] United Nations Office on Drugs and Crime/World Health Organization, Treatment and care for people with drug use disorders in contact with the criminal justice system. Alternatives to Conviction or Punishment, 2018, გვ. 23.
[88] United Nations, Commentary on the United Nations Standard Minimum Rules for Non-Custodial Measures (The Tokyo Rules), 1993, გვ. 23.
[89] იქვე, გვ. 58.
[90] United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), Handbook of basic principles and promising practices on Alternatives to Imprisonment, 2007, გვ. 38.
[91] United Nations Office on Drugs and Crime/World Health Organization, Treatment and care for people with drug use disorders in contact with the criminal justice system. Alternatives to Conviction or Punishment, 2018, გვ. 23.
[92] იქვე, გვ. 6, 13.
[93] იქვე, გვ. 26.

საჭიროებების შეფასებაში.[94] მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში, რეფერების მექანიზმი განსაკუთრებით გამოიყენება შესაფერისი ღონისძიებების შერჩევისთვის ისეთი ზრდასრული პირების მიმართ, რომლებიც დანაშაულებს ნარკოტიკული საშუალების შეძენის დაფინანსებისთვის სჩადიან. მთავარი აქცენტი კეთდება ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულის შემცირებაზე, ნარკოტიკების პრობლემურ მომხმარებლებთან კავშირის დამყარების, შესაბამისი მკურნალობისა და მხარდაჭერის შეთავაზების გზით.[95]

პროკურატურის ხელთ არსებული ალტერნატიული მექანიზმია სამართალწარმოების შეწყვეტა. ამ შემთხვევაში ცენტრალური საკითხია, სამართალწარმოების შეწყვეტის დისკრეციის გამოყენების მკაფიო კრიტერიუმების არსებობა. საპოლიციო ორგანოებს უნდა ჰქონდეთ ცხადი სახელმძღვანელო მითითებები, რომელთაც დაეყრდნობიან ნარკოდამნაშავეების ალტერნატიულ პროგრამებში გადამისამართების გადაწყვეტილების მიღებისას.[96] საქმის სასამართლოსთვის გადაცემამდე სამართალწარმოების შეწყვეტის პრაქტიკა არსებობს საფრანგეთში, ლუქსემბურგში და რუმინეთში, მხოლოდ ნარკოტიკის მოხმარების ან მოხმარების მიზნით ფლობის სისხლის სამართლის საქმეებზე.[97]

აღნიშნულისგან განსხვავებით, ზოგიერთი ქვეყანა (ბელგია, საბერძნეთი, ავსტრია, ჰოლანდია, ლიეტუვა) პრობლემურ ნარკომომხმარებლებს ალტერნატიულ მექანიზმებს სთავაზობს მაშინაც, როდესაც მათ (არანარკოტიკული) დანაშაული ჩაიდინეს, რომელიც შესაძლოა, ნარკოტიკის მოხმარებასთან კავშირში იყოს. პოლონეთის კანონმდებლობა ითვალისწინებს სისხლის სამართალწარმოების შეწყვეტის შესაძლებლობას, თუკი პირის მიერ ჩადენილი (ნებისმიერი) დანაშაულისთვის სასჯელი ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას არ აღემატება და დანაშაულებრივი ქმედება შესაძლოა უკავშირდებოდეს მის მიერ ნარკოტიკული საშუალების პრობლემურ მოხმარებას. ამ შემთხვევაში, პირი თანახმა უნდა იყოს, ჩაერთოს სამედიცინო დაწესებულების სამკურნალო ან პრევენციის პროგრამაში. მკურნალობის გადაწყვეტილებას თავად ბრალდებულები/მსჯავრდებული იღებს, პროკურატურის პროაქტიული მუშაობის გარეშე.[98]

სასამართლო განხილვის ეტაპზე მკურნალობაზე გადამისამართებას შეიძლება ჰქონდეს სასჯელის ალტერნატივის ან დამატებითი სასჯელის ფორმა. შედეგის მიხედვით, შეფარდებული სასჯელის აღსრულება შეჩერდება. მართლმსაჯულებაში ჩართულ აქტორებს, რომლებიც განსაზღვრავენ ალტერნატიული ღონისძიებების აღსრულების პირობებს, შესაძლოა დასჭირდეთ საზოგადოებაში გარკვეული მექანიზმების შექმნა, რათა უზრუნველყონ ამ პირობების შესრულება. მნიშვნელოვანია, მკურნალობის სერვისების მიწოდება ინტენსიურ, სპეციალიზირებულ ამბულატორიულ და ნაკლებად - სტაციონარულ დაწესებულებაში. მკურნალობის სახეობას და ინტენსივობას უნდა განსაზღვრავდეს პირის საჭიროებების წინასწარი შეფასება.[99]

---

[94] იქვე, გვ. 52.

[95] European Monitoring Centre for Drugs and Drug Addiction (2015), Alternatives to punishment for drug-using offenders, EMCDDA Papers, გვ. 6.

[96] United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), Handbook of basic principles and promising practices on Alternatives to Imprisonment, 2007, გვ. 14.

[97] European Monitoring Centre for Drugs and Drug Addiction (2015), Alternatives to punishment for drug-using offenders, EMCDDA Papers, გვ. 7.

[98] იქვე.

[99] United Nations Office on Drugs and Crime/World Health Organization, Treatment and care for people with drug use disorders in contact with the criminal justice system. Alternatives to Conviction or Punishment, 2018, გვ. 56.

4. "თერაპია დასჯის ნაცვლად" გერმანიის კანონმდებლობაში

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მოქმედ „ნარკოტიკული საშუალებების შესახებ კანონში[100]“ 1982 წელს შესული ცვლილებებით დაინერგა „დასჯის ნაცვლად თერაპიის“ პრინციპი. კანონის §35 ითვალისწინებს, რომ სასჯელის აღსრულება შეიძლება გადაიდოს, თუ: 1. წამალდამოკიდებული მსჯავრდებული მზაობას გამოთქვამს, გაიაროს რეაბილიტაციის კურსი სახელმწიფოს მიერ აღიარებულ დაწესებულებაში, რომელიც ემსახურება დამოკიდებულების აღმოფხვრას ან განმეორებითი დამოკიდებულების წინააღმდეგ ბრძოლას 2. დანაშაული ჩადენილია წამალდამოკიდებულების შედეგად და სასჯელის ზომა არ აღემატება ორ წელიწადს. მკურნალობის შეწყვეტა გამოიწვევს სასჯელის აღდგენას და დაკავების ორდერის გაცემას. სამკურნალო დაწესებულებების აღიარებას კანონი უკავშირებს ამ დაწესებულებათა შესაძლებლობას, უზრუნველყონ წამალდამოკიდებულთათვის „ცხოვრების სტილის მნიშვნელოვანი შეზღუდვა“ და შეატყობინონ პროკურატურას მკურნალობის შეწყვეტის ან დისციპლინური გადაცდომის შესახებ, რაც აუცილებლად იწვევს პატიმრობის განახლებას.[101]

§35-ის აღნიშნული წინაპირობების არსებობისას, კანონის §37 ასევე ითვალისწინებს პროკურატურის უფლებამოსილებას, სასამართლოს თანხმობით დროებით უარი თქვას სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე, თუკი წამალდამოკიდებული ბრალდებული დაიწყებს მკურნალობის კურსს და მოსალოდნელია მისი რესოციალიზაცია. ამგვარად, კანონის §§35-37-ე დებულებები წარმოადგენს კომპრომისს ერთი მხრივ, წმინდა პრევენციისა და თერაპიის კონცეფციას და მეორეს მხრივ, რეპრესიულ ნარკოპოლიტიკას შორის. უფრო ზუსტად, მოქმედებს ნარკოდამოკიდებულთათვის სასჯელის აღსრულების სპეციალური რეგულაციები, მას შემდეგ, რაც დადგინდება მათი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.[102]

წამალდამოკიდებულებას შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობად განიხილავს სისხლის სამართლის მართლმსაჯულება კონკრეტული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, რასაც სასამართლო სასჯელის შეფარდებისას იღებს მხედველობაში და სასჯელს კანონით წინასწარ დადგენილ ფარგლებში ამცირებს.[103]

გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკა წამალდამოკიდებულებას, a priori არ მიიჩნევს ბრალეულობის მნიშვნელოვნად შემცირების დადგენისთვის საკმარის გარემოებად, თუმცა მხედველობაში იღებს ისეთ შემთხვევაში, როდესაც ხანგრძლივ „წამალდამოკიდებულების კარიერას“ ადამიანი პიროვნების მძიმე ცვლილებებამდე მიჰყავს, ან როდესაც ბრალდებულს ძლიერად გამოხატული აღკვეთის სინდრომი აწუხებს, რის გამოც იგი ნარკოტიკული საშუალებების მოპოვებასთან დაკავშირებულ დანაშაულს ჩადის. ამასთან, ყოველთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს აღკვეთის სინდრომის მწვავე ფორმებით გამოვლინებას, არამედ არსებითია ადიქციის სპეციფიკური გამოხატულება და მიმდინარეობის ფორმა. ამ მიდგომას ეფუძნება სასამართლო სასჯელის შემცირებისას, მაგალითად ჰეროინზე დამოკიდებული ადამიანის შემთხვევაში, რომელმაც უკვე განიცადა „აღკვეთის სინდრომი ყველაზე საშინელი სიმპტომებით“, თუ განმეორებითი აღკვეთის სინდრომის შიში მას მუდმივი ზეწოლის ქვეშ ამყოფებს და უბიძგებს სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისკენ. მეორე მხრივ, ნარკოტიკულ

[100] Gesetz über den Verkehr mit Betäubungsmitteln (Betäubungsmittelgesetz - BtMG).

[101] Albrecht, Günter/Groenemeyer, Axel, Handbuch soziale Probleme, 2012, გვ. 451.

[102] Heinrich, Bernd/van Bergen, Nicolas, Grundzüge des deutschen Betäubungsmittelstrafrechts und seine Entkriminalisierungstendenzen, in: Juristische Arbeitsblätter 2019, 321, გვ.327.

[103] გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის §21, § 49; Perron/Weißer, in: Schönke, Adolf/Schröder, Horst, Strafgesetzbuch, 30. Auflage 2019, StGB § 21 Verminderte Schuldfähigkeit, Rn. 9, 10.

საშუალებაზე ძლიერი ფსიქოლოგიური დამოკიდებულება, აღკვეთის სინდრომის ფიზიოლოგიური სიმპტომების გარეშე, ყოველთვის არ გამორიცხავს სასჯელის შემსუბუქების მომწესრიგებელი დებულებების გამოყენებას. თუმცა, ფსიქოლოგიური დამოკიდებულება სასურველი სუბიექტური ეფექტების გამო, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება კანაფის პროდუქტების (მაგ. ჰაშიში) მოხმარებისას, არ არის საკმარისი სასჯელის შემსუბუქებისთვის, დამატებითი გარემოებების დამატების გარეშე.[104]

VI. დასკვნა და რეკომენდაციები

თავისუფლების აღკვეთას მრავალი უარყოფითი მხარე აქვს, რის გამოც, გაეროს მოქმედი სტანდარტები და რეგულაციები, ერთობლიობაში, სახელმწიფოებს ალტერნატიული სასჯელების გამოყენებისკენ მოუწოდებს და მხარს უჭერს თავისუფლების აღკვეთის უკანასკნელ საშუალებად შეფარდებას. ალტერნატიული ღონისძიებები, ხშირად, უფრო ეფექტიანია საზოგადოებრივი უსაფრთხოების თუ განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილების თვალსაზრისით. ამ ტიპის მექანიზმების სწორად შემუშავებით და პრაქტიკაში იმპლემენტაციით მცირდება ადამიანის უფლებების დარღვევის რისკები, ისევე როგორც სახელმწიფო ხარჯები მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივაში.

კვლევის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა სისხლის სამართალწარმოების განმავლობაში ხელმისაწვდომ, დასჯის ალტერნატიულ ინსტრუმენტებზე, რომლებიც თანხვედრაშია ნარკოტიკულ დანაშაულებზე გაეროს კონვენციებით დადგენილ მოთხოვნებთან.

დასჯის ალტერნატიული მიდგომებს შორის უპირველესი სტრატეგია სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემიდან ნარკოდამნაშავეების გამოხშირვაა. გაუმართლებელია სოციალურად არასასურველი ყოველი ქცევის სისხლისსამართლებრივ დანაშაულად კლასიფიცირება, ან მასთან სისხლისსასამართლებრივი ბერკეტებით გამკლავება, სათანადო საჭიროების გარეშე. დეკრიმინალიზაცია სამართლებრივად ახლებურად განსაზღვრავს ქცევას, რომელიც მანამდე დანაშაულად მიიჩნეოდა და აჩენს სივრცეს, საკითხისადმი უფრო რაციონალური და კომპლექსური მიდგომისთვის. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებით განვითარებული მსჯელობა, მათ შორის, მძიმე და მსუბუქი ნარკოტიკული საშუალებების გამიჯვნის და შესაბამისი, დიფერენცირებული სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის გატარების თაობაზე, ქმნის ბაზას თანმდევი საკანონმდებლო ნაბიჯებისთვის, ცხადია, პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში. ნარკოტიკული საშუალებების დიფერენცირება კანონმდებლობაში, პირველ რიგში მოიაზრებს მათთან დაკავშირებული ქმედებების დასჯადობის გადახედვას და დეკრიმინალიზაციის გადაწყვეტილებას, თანმდევი დასჯის ალტერნატიული ღონისძიებების შემოღებით. სუბსტანციის მძიმე ნარკოტიკად შეფასებისას, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია დასჯის პოლიტიკის ჩანაცვლება ალტერნატიული მექანიზმებით და ზრუნვაზე დაფუძნებული მიდგომების გატარება, რადგან სწორედ ამ შემთხვევაშია საჭირო სხვადასხვა ტიპის ჯანდაცვის, სარეაბილიტაციო და ზიანის შემცირების სერვისები სახელმწიფოსგან.

[104] Perron/Weißer, in: Schönke, Adolf/Schröder, Horst, Strafgesetzbuch, 30. Auflage 2019, StGB § 21 Verminderte Schuldfähigkeit, Rn. 9, 10.

დასჯის ალტერნატივების შემდეგი ეტაპია წინასწარი კრიტერიუმებით შერჩეულ ნარკოდანაშაულთა ფორმალურ დასჯაზე, სისხლისსამართლებრივ დევნაზე უარის თქმა სახელმწიფოში ამოქმედებული რეფერირების სერვისებში ჩართვის სანაცვლოდ. ეს უკანასკნელი შეიძლება გულისხმობდეს თერაპიის, მკურნალობის, განათლების პროგრამებში მონაწილეობის მიღებას. მიუხედავად იმისა, რომ ნარკოტიკის ყველა პრობლემური მომხმარებელი, რომელსაც მოხმარების შემცირება სურს, შესაძლოა, მკურნალობას არ საჭიროებდეს, ბევრი მათგანისთვის ეს პრობლემის მოგვარების მნიშვნელოვანი გზაა. ნარკოტიკის პრობლემური მოხმარების, მის თანმდევ სირთულეებსა და სისხლისსამართლებრივ დანაშაულებს შორის კავშირი მოითხოვს ჰოლისტურ მიდგომას და ინტერსექტორულ მუშაობას. აღნიშნულს, ქართული პრაქტიკა და კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფს. ამ კუთხით ვითარების ანალიზმა ცხადყო, რომ ბოლო წლებში, ნარკოტიკის მომხმარებლების, სხვა ნარკოდამნაშავეების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება და იშვიათია განრიდების მექანიზმის გამოყენების შემთხვევები. სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი დებულებების მიმოხილვით ასევე აშკარაა, რომ კანონმდებლობა არ იცნობს ნარკოდანაშაულებზე დასჯის ნაცვლად მკურნალობის შეთავაზების ალტერნატივას.

სასჯელის შეფარდების ეტაპზე, დასჯის ალტერნატიული ღონისძიებებისთვის უპირატესობის მინიჭება მოითხოვს საპატიმრო სასჯელების გვერდის ავლით ნარკოდანაშაულებზე რეაგირებას, მათ შორის, სიტყვიერი სანქციებით, პირობით გათავისუფლებით, ჯარიმების, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის დაკისრებით. ქართული პრაქტიკის ანალიზი, ამ კუთხით, შედარებით დადებით ტენდენციებს გამოკვეთს. უფრო კონკრეტულად, შემცირებულია თავისუფლების აღკვეთის დაკისრება ნარკოდანაშაულებზე და ასევე ძალიან დაბალია ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისთვის თავისუფლების აღკვეთის მაჩვენებელი. მათ უდიდეს ნაწილს, სასამართლო საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას და ჯარიმას აკისრებს. ამის მიუხედავად, პრობლემურია ფულადი სანქციების შეფარდება მსჯავრდებულთა ფინანსური მდგომარეობის გაუთვალისწინებლად, რადგანაც 86%-დან 91%-მდე მერყეობს დანაშაულის ჩადენის დროს მათი უმუშევრობის წილი.

სასჯელის შეფარდების ეტაპზე, ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების კუთხით, ხისტი და მოუქნელია კანონმდებლობა იმ კუთხით, რომ ის მაქსიმალურად ზღუდავს მოსამართლის დისკრეციას, მათ შორის, ნარკოდანაშაულისთვის მსჯავრდებულთა დამატებითი სამოქალაქო უფლებების შეზღუდვისთვის გვერდის ავლის კუთხით. გარდა ამისა, მოსამართლეს, სისხლის სამართლის მატერიალური კანონმდებლობით დაწესებული მკაცრი სასჯელებისგან გადახვევა, ინდივიდუალურ შემთხვევებშიც არ შეუძლია, გარდა საქმის საპროცესო შეთანხმებით დასრულების შემთხვევისა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, რეკომენდირებულია შემდეგი:

- სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემას შეუძლია იყოს მნიშვნელოვანი გამტარი, უწყებათაშორისი, ჰოლისტური მიდგომის დანერგვაში, რისთვისაც მიზანშეწონილია, ნარკოდანაშაულებთან მიმართებით ფლობდეს თერაპიის/მკურნალობის შეთავაზების ბერკეტს მსჯავრდების/დასჯის ალტერნატივის ანდა სასჯელის დამატებითი ღონისძიების სახით.
- სისხლის სამართლის სისტემისგან განრიდების მექანიზმის გამოყენებამ, თერაპიის/მკურნალობის სერვისებში ჩართვის სანაცვლოდ, შესაძლოა წაახალისოს ადამიანები, რომლებიც სხვაგვარად არ მოიძიებდნენ ან ვერ შეძლებდნენ მსგავს სერვისებში ჩართულობას. გარე ზემოქმედება მკურნალობას ხდის უფრო

ხელმისაწვდომს და ხშირად აადვილებს პირველ ნაბიჯებს გამოჯანმრთელებისა და რესოციალიზაციისკენ.

- უნდა შემუშავდეს სახელმძღვანელო მითითებები ნარკოტიკულ დანაშაულთა იმ კატეგორიების და წინაპირობების თაობაზე, რომელთა არსებობისას პროკურორი უპირატესობას მიანიჭებს ბრალდებულთა განრიდებას, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ნაცვლად.
- აუცილებელია, გადაიხედოს და შემსუბუქდეს ნარკოტიკული დანაშაულებისთვის გათვალისწინებულ სასჯელთა სახეები და ზომები, შეიცვალოს დამატებითი სასჯელების სავალდებულოდ შეფარდების არსებული რეგულაცია.
- მნიშვნელოვანია, პრობაციის სისტემაში ალტერნატიული ღონისძიებების, სერვისების ხელმისაწვდომობა, რომელიც მოემსახურება როგორც ნარკოტიკულ დანაშაულებზე მსჯავრდებულთა, ასევე სისხლის სამართლის სისტემისა და საზოგადოების საჭიროებებს.
- პრობაციის სისტემაში ზრუნვაზე, მხარდაჭერასა და საზოგადოებაში რეინტეგრაციაზე დაფუძნებული მიდგომების გაძლიერება მოითხოვს საკმარისი ადამიანური და ფინანსური რესურსებით უზრნველყოფას სახელმწიფოს მხრიდან.
- ნარკოდანაშაულისთვის მსჯავრდებულთა მიმართ, ალტერნატიული სასჯელის სახით ჯარიმის შეფარდება უნდა ეფუძნებოდეს პირის ფინანსური და სოციალური მდგომარეობის გამოკვლევას. პირობით მსჯავრდებულთა მიმართ, ნაკლები ინტენსივობით უნდა გამოიყენებოდეს ისეთი დამატებითი სასჯელები, რომელიც არათანაზომიერად დაამძიმებს მათ სოციალურ და ფინანსურ მდგომარეობას.
- სასამართლოებსა და სხვა კომპეტენტურ ორგანოებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან დამნაშავეების სასჯელზე ან ვადაზე ადრე გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე, უნდა ფლობდნენ მრავალფეროვანი არასაპატიმრო ზომების გამოყენების ბერკეტებს, რაც ხელს შეუწყობს ნარკოტიკულ დანაშაულში მსჯავრდებულთა რეაბილიტაციას და ადრეულ რეინტეგრაციას საზოგადოებაში.
- მიზანშეწონილია, ყველა ტიპის ნარკოტიკული საშუალების მოხმარების და მცირე ოდენობით შეძენა-შენახვის დეკრიმინალიზაცია. ეს აუცილებლობა განსაკუთრებით ე.წ. მძიმე ნარკოტიკების მომხმარებლების მიმართ არსებობს, რადგან ისინი საჭიროებენ ჯანდაცვის/სარეაბილიტაციო და ზიანის შემცირების სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობას.
- სამომავლო პოლიტიკის უკეთ განსაზღვრის მიზნით, აუცილებელია გაუმჯობესდეს ქვეყანაში ნარკოტიკულ დანაშულზე სტატისტიკური მონაცემების წარმოების ხარისხი.

გამოყენებული ლიტერატურა

Albrecht, Günter/Groenemeyer, Axel (Hrsg.), Handbuch soziale Probleme, Band 1-2, 2012

Cliquennois, Gaëtan/Snacken, Sonja Can European human rights instruments limit the power of the national state to punish? A tale of two Europes, in: European Journal of Criminology 2021, Vol. 18(1) 11-32

ერემაძე, ქეთევან, ძირითადი უფლებები თავისუფლებისთვის, წიგნი II, 2021

European Monitoring Centre for Drugs and Drug Addiction, Alternatives to punishment for drug-using offenders, EMCDDA Papers, 2015

გეგელია, თამარ/დავითური, გიორგი/იმნაძე, გურამ/მახარაძე, გიორგი/ჯიშკარიანი, ბაჩანა, ნარკოტიკული დანაშაული, 2020

გერლიანი, თორნიკე, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ნარკოპოლიტიკაზე - მიღებული გადაწყვეტილებების კანონმდებლობაში ასახვის პროცესის შეფასება, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021

Heinrich, Bernd/van Bergen, Nicolas, Grundzüge des deutschen Betäubungsmittelstrafrechts und seine Entkriminalisierungstendenzen, in: Juristische Arbeitsblätter 2019, 321

Labate, Beatriz Caiuby/Cavnar, Clancy (Ed.), Prohibition, Religious Freedom, and Human Rights: Regulating Traditional Drug Use, 2014

ნასრაშვილი, ანა, ნარკოპოლიტიკა საქართველოში - შეჩერებული რეფორმა და ახალი ტენდენციები, EMC, 2019

Plettinckx, Els/Antoine, Jérôme/Gremeaux, Lies/Van Oyen, Herman, Alternatives to prison for drug offenders in Belgium during the past decade, in: International Journal of Law and Psychiatry, Vol. 61, 2018, 13-21

ფოცხვერიშვილი, გიორგი, ნარკოპოლიტიკა საქართველოში - 2021 წლის ტენდენციები, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2022

Schönke, Adolf/Schröder, Horst, Strafgesetzbuch, 30. Auflage 2019, StGB

თოდუა, ნონა,(რედ.) სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, 2016

United Nations, Commentary on the United Nations Standard Minimum Rules for Non-Custodial Measures (The Tokyo Rules), 1993

United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), Handbook of basic principles and promising practices on Alternatives to Imprisonment, Criminal Justice Handbook Series, 2007

United Nations Office on Drugs and Crime/World Health Organization, Treatment and care for people with drug use disorders in contact with the criminal justice system. Alternatives to Conviction or Punishment, 2018